

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია

VANO SARAJISHVILI TBILISI STATE CONSERVATOIRE

თბილისის მესამე საერთაშორისო მუსიკოლოგიური კონფერენცია

მუსიკოლოგია
საზღვრებით და საზღვრებს გარეშე



2 - 3 მაისი
MAY 2019

MUSICOLOGY WITH AND
WITHOUT BORDERS

TBILISI THIRD INTERNATIONAL MUSICOLOGICAL CONFERENCE

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
VANO SARAJISHVILI TBILISI STATE CONSERVATOIRE

თბილისის მესამე საერთაშორისო მუსიკოლოგიური კონფერენცია

მუსიკოლოგია საზღვრებით და საზღვრებს გარეშე

2 - 3 მაისი
MAY 2019

MUSICOLOGY WITH AND
WITHOUT BORDERS

TBILISI THIRD INTERNATIONAL MUSICOLOGICAL CONFERENCE

კონფერენციის ორგანიზატორია თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის
სახელმწიფო კონსერვატორია

ORGANIZER OF THE CONFERENCE IS VANO SARAJISHVILI
TBILISI STATE CONSERVATOIRE

მხურვალედ მივესალმები საერთაშორისო მუსიკოლოგიურ კონფერენციას, რომლის წლებანდელი სათაურიც და თემატური ჩამონათვალიც აგრძელებს და აღრმავებს ამ დარგის აქტუალური, საჭირობოროტო და ზოგჯერ მტკივნეული პრობლემატიკის შესწავლას თუ გააზრებას, ამასობაში ტრადიციულ ქვეული სამეცნიერო ფორუმის ფარგლებში. აქადემიური დღევანდელიობა, მისი თანმხლები ისეთი ახალი თემებით, როგორიც მაგალითად, „შემოქმედებითი კვლევა“ უმაღლეს განათლებაში, პერმანენტულ განახლებას და გადააზრებას განიცდის და ამგვარი სამეცნიერო სიმპოზიუმია ხოლმე სწორედ ის ადგილი, სადაც დარგობრივი სხვადასხვაობისა და ინტერაქციის ფორმატში გაიაზრება ჯაცობრიობის განვითარების დღევანდელი, აქტუალური კულტურული კონტექსტი, განვრცობილი პედაგოგიური, იდეოლოგიური, ტექნოლოგიური თუ პოლიტიკური ნიუანსებითაც კი, ყოველ წელს განახლებულ დისკუსიაში რომ მოგვეკვლინება ხოლმე.

ველოცავ და ვმადლობ ყველას, ვინც ამ კონფერენციის მომზადების აქადემიური და ადმინისტრაციული ჭაპანი გასწია და ვუსურვებ ფორუმის მონაწილე სწავლელებს, სტუდენტებს, მსმენელებს – საინტერესო მოხსენებებს ცხარე დისკუსიებს და შთაგონებულ ატმოსფეროს!



ფოტო ლევან ხერხეულიძის
photo by Levan Kherkheulidze

რეზო კიკნაძე

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი

I cordially welcome the International Musicological Conference; this year the subject and thematic list of the Conference continues and deepens the study and comprehension of topical and sometimes painful problems as well as issues of the day in this field within the framework of the scientific forum which has already become traditional. Academic present day, with the accompanying topics such as “artistic research” in high education, is permanently renewed and reconsidered; such scientific symposium is always the place where current cultural context of human development is understood in the format of sectoral differentiation and interaction, even with pedagogic, ideological, technological and political nuances, each year presented in renewed discourse.

I congratulate and thank everyone, who made academic and administrative efforts for the preparation of the conference and wish interesting papers, heated discussions, and inspiring atmosphere to the Forum participants: scholars, students and listeners!

Rezo Kiknadze
Rector of Tbilisi State Conservatoire



თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია 102 წლისაა. თბილისის კონსერვატორია პირველი უმაღლესი სასწავლებელია არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ ამიერკავკასიაში. ოფიციალურად იგი 1917 წლის 1 მაისს გაიხსნა. 1924 წელს მას სახელმწიფო კონსერვატორიის სტატუსი მიენიჭა, 1947 წლიდან კი გამოჩენილი ქართველი მომღერლის – ვანო სარაჯიშვილის სახელს ატარებს. როგორც არქიტექტურული ძეგლი, კონსერვატორიის შენობა შეტანილია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში.

წლების მანძილზე თბილისის კონსერვატორია იყო ევროპული ყაიდის ერთადერთი სამუსიკო სასწავლებელი კავკასიაში. მან ღირსეულად განვლო განვითარების საუკუნოვანი გზა და უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ქართული მუსიკალური კულტურის განვითარებისა და პროფესიონალთა თაობების აღზრდაში. თბილისის კონსერვატორიამ არა მარტო შეინარჩუნა მუსიკალური განათლების მდიდარი ტრადიციები, არამედ დაიმკვიდრა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი უმაღლესი პროფესიული და აკადემიური სასწავლებლის სტატუსი XXI საუკუნეში. დღეს ის კონსერვატორიაა, მუსიკის აკადემიაა და მუსიკის უმაღლესი სკოლების ევროპული ასოციაციის – AEC-ს სრულუფლებიანი წევრია.

კონსერვატორია არა მარტო საგანმანათლებლო ინსტიტუტია, არამედ საკონცერტო ცხოვრების ცენტრი და, ამავე დროს, მუსიკალური ხელოვნების სამეცნიერო კვლევის ჯერაა. თბილისის კონსერვატორია ერთადერთი დაწესებულებაა საქართველოში, რომელიც სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ახორციელებს მუსიკის ყველა მიმართულებით. აქ ეწყობა ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციები და სიმპოზიუმები. იქმნება და გამოიცემა სამეცნიერო და სასწავლო-მეთოდური ლიტერატურა. ბეჭდვითი გამომცემლობის პარალელურად ფუნქციონირებს ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალი „ქესჟ: მუსიკისმცოდნეობა და კულტუროლოგია“.

Today V. Sarajishvili Tbilisi State Conservatoire was the first high school not only in Georgia, but in the Trans-Caucasus, it officially opened on 1 May, 1917. In 1924, it was granted the status of a state institution, and since 1947 it has been named after Vano Sarajishvili – a renowned Georgian opera singer. As an architectural monument the Conservatoire building is included among the monuments of cultural heritage.

Over the years Tbilisi State Conservatoire was the only European-style music school in the entire Transcaucasia. It suitably passed a century of development and played significant role in the development of Georgian musical culture and upbringing of generations of professionals. The Conservatoire today is proud of its century-old traditions of practice and scholarship, but has enthusiastically sought to adapt and grow, developing its programme of education to meet international norms, enabling the institution to play an ever-increasing role in a vibrant global community of artists. The Tbilisi Conservatoire is a member of the European Association of Conservatoires (the Association Européenne des Conservatoires – AEC).

Today the Conservatoire boasts significant international connections, and stands not only as a center for education, but also as a research institution – pushing the boundaries of musical practice. Here conferences and symposia of national and international scales are held; scientific and educational-methodological literature is prepared and published. Parallel to print publishing electronic scientific journal “GESJ: Musicology and Cultural Science” has functioned.

Today the Conservatoire boasts significant international connections, and stands not only as a center for education, but also as a research institution – pushing the boundaries of musical practice. Here conferences and symposia of national and international scales are held; scientific and educational-methodological literature is prepared and published. Parallel to print publishing electronic scientific journal “GESJ: Musicology and Cultural Science” has functioned.

2015 წელს თსუ-ში საფუძველი ჩაეყარა საქართველოში პირველ თბილისის საერთაშორისო მუსიკოლოგიურ კონფერენციას (თსმკ). კონცეფციის თანახმად, კონფერენცია ტარდება ორ წელიწადში ერთხელ და მისი თემატიკა ცვალებადია. იგი მიზნად ისახავს თანამედროვე მუსიკოლოგიის ზოგადი პრობლემათიკის განხილვას, იმ გზებისა და პერსპექტივების გამოკვეთას, რაც განაპირობებს მუსიკოლოგიის სამომავლო განვითარებას; გარდა ამისა, ქართული თანამედროვე მუსიკოლოგიური სკოლის საერთაშორისო ასპარეზზე პოზიციონირებას და განსხვავებული ტრადიციების მქონე სამეცნიერო სკოლებს შორის ინფორმაციის გაცვლასა და გამოცდილებების გაზიარებას.



თსუ-ს სამეცნიერო კვლევის სტრატეგიული განვითარების გეგმის (2018-2024)

თანახმად, კვლევის პრიორიტეტულ მიმართულებებს შორისაა ინტერდისციპლინარული კვლევები და შემოქმედებითი კვლევა. სწორედ აღნიშნულმა განსაზღვრა წლევანდელი საერთაშორისო მუსიკოლოგიური კონფერენციის ძირითადი თემა – „მუსიკოლოგია საზღვრებით და საზღვრებს გარეშე“, რომელიც შემდეგ მიმართულებებს მოიცავს: თეორიული და ისტორიული მუსიკოლოგიის თანამედროვე გამოწვევები; შემოქმედებითი კვლევა; მუსიკა, სიტყვა და გამოსახულება; მუსიკის ინტერტექსტუალური ასპექტები; რეჟიმი, იდეოლოგია და მუსიკა; სანოტო ტექსტის ფიქსირება: ტრანსკრიფცია, ნოტაცია, დოკუმენტირება. წლევანდელ კონფერენციაში მონაწილეობას იღებენ არამარტო მუსიკისმცოდნეები, არამედ შემსრულებლები და კომპოზიტორები საქართველოდან, ევროპის სხვადასხვა ქვეყნებსა და აშშ-დან. კონფერენციის დღეებში წარმოდგენილი იქნება ასევე თემატური კონცერტები: „ქართული მუსიკა საზღვრებით და საზღვრებს გარეშე“; ტრადიციული მუსიკის საღამო, მიძღვნილი საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, მუსიკისმცოდნის ვლადიმერ ახოზაძის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი; „ერთი ხეობის ფოლკლორი – ჭვანა“; აჭარული ტრადიციული სიმღერები და ცეკვები, ეთნოგრაფიული გამოფენა. კონფერენციის დასკვნით ეტაპზე – მრგვალ მაგიდაზე: „მუსიკოლოგიური დისციპლინების სწავლება: პერსპექტივები და გამოწვევები უმაღლესი სამუსიკო დაწესებულებებისათვის“ – მონაწილეები ერთმანეთს გაუზიარებენ დარგის სწავლების გამოცდილებას.

In 2015 Tbilisi International Musicological Conference was held at Tbilisi State Conservatoire for the first time in Georgia. According to the concept, the Conference is held biannually and boasts diverse themes. It aims to discuss general problems of contemporary musicology, to show the ways and perspectives which determine further development of musicology; as well as to position modern Georgian school of musicology on international arena, and to contribute to the interchange of information and sharing of experience between scientific schools with different traditions.

According to the TSC strategic development plan of research (2018-2024), priority directions include interdisciplinary researches and artistic research. This is exactly what defined main theme of current conference – “Musicology with and without Borders”. This comprises the following directions: modern challenges of theoretical and historical musicology; artistic research; music, word and image; inter-textual aspects of music; regime, ideology and music; record of notated text; transcription, notation, documentation. The participants of this year’s conference are not only musicologists but also performers and composers from Georgia, different European countries and the USA. The framework of the conference also comprises thematic concerts: “Georgian Music With and Without Borders”; an evening of traditional music dedicated to the 100th Anniversary from the Birth of Vladimer Akhobadze – musicologist, Merited Worker of Georgian Culture; “A Valley’s Folklore - Chvana” (Traditional Acharan Songs and Dances; Ethnographic Exhibition). At the final stage of the conference - round table: “Teaching of Musicological Disciplines: Perspectives and Challenges for Higher Music Institutions” the participants will share with each other the experiences of teaching the field.



თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზი საზეიმოდ გაიხსნა 1904 წლის 4 ნოემბერს (არქიტექტორი – ა. შიმკევიჩი, მხატვარ-დეკორატორი – ნოვიკი). დაარსების დღიდან კონსერვატორიის მცირე დარბაზი თბილისის საკონცერტო ცხოვრების მნიშვნელოვან ცენტრად იქცა. დარბაზი გათვალისწინებულია როგორც ქამერული, ასევე სოლო კონცერტებისათვის.

A festive opening of the Recital Hall took place on November 4, 1904 (the architect of the Hall was A. Shimkevich, with famous artist Novik as designer). Since the day of its foundation, the Recital Hall has become one of the most major concert venues in Tbilisi. Recitals and chamber music concerts are usually held here.





კონსერვატორიის დიდი დარბაზი 1938-1941 წლებში, კონსერვატორიის შენობის პირველი რეკონსტრუქციის დროს აიგო (არქიტექტორი შალვა თავაძე) და სახეიמוד გაიხსნა 1942 წლის 28 იანვარს. დარბაზის ბოლო რეკონსტრუქცია განხორციელდა 2002-2006 წლებში. დიდი დარბაზი გათვლილია 500 ადგილზე, აქვს „Alexander Schuke Potsdam“-ის ფირმის ორგანი, ციფრული ხმის ჩამწერი სტუდია, გათვალისწინებულია როგორც უამრული, ისე სიმფონიური მუსიკის კონცერტებისთვის, ხოლო საორკესტრო ორმო საოპერო სტუდიის სპექტაკლების დადგმის საშუალებას იძლევა.

კონსერვატორიის დიდი დარბაზი ქვეყნის მნიშვნელოვანი კულტურული ცენტრია. აქ ტარდება ყოველწლიური საერთაშორისო ფესტივალი „სახალწლო მუსიკალური შეხვედრები“, კლასიკური და ხალხური მუსიკის კონცერტები, ჯაზის საღამოები, აგრეთვე, მრავალხმიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმები, საქართველოს მუსიკოს-შემსრულებელთა და პიანისტთა თბილისის საერთაშორისო კონკურსები და სხვ.

THE GRAND HALL of the Conservatoire was built in 1938-1941 during the Conservatoire's first period reconstruction (architect Shalva Tavadze) and was officially opened on 28 January, 1942. In 2002-2006 last reconstruction of the building was carried out. The Grand Hall seats around 500 people; it boasts Alexander Schuke Potsdam organ, a digital sound-recording studio. The Hall provides facilities for chamber music and symphony concerts. Its stage and orchestra pit also allow for opera performances.

The Grand hall of the Conservatoire is an important cultural center of the country. It hosts an annual international New Year concerts, performances of classical, folk and jazz music, as well as the Conservatoire's International Symposia on Polyphony, The Tbilisi International Piano Competition, the Georgian Competition of Musician-Performers and etc.

1 მაისი, ოთხშაბათი
MAY, WEDNESDAY

<p>დოქტ. დინა ლენტსერი კოლუმბუსის უნივერსიტეტის (ოჰაიო) მუსიკის თეორიისა და კომპოზიციის პროფესორი, აშშ Dr. Dina Lentsner Professor of Music Theory and Composition at Capital University in Columbus, Ohio, USA</p>	<p>ლექცია – „ეს ყველაფერი ჩემს შესახებაა: ფენომენოლოგიური ხედვა მუსიკის ანალიზსა და ინტერპრეტაციაზე“ Lecture – “It’s All About Me: A Phenomenological Perspective on Music Analysis and Interpretation”</p>	<p>12:00</p>	<p>აუდ/ aud. № 421</p>
<p>დოქტ. რიმა პოვილიონიენე ლიეტუვას მუსიკისა და თეატრის აკადემიის ასოც. პროფესორი, ლიეტუვა Dr. Rima Povilioniene Assoc. Professor of the Lithuanian Academy of Music and Theatre, Lithuania</p>	<p>ლექცია – „მინი და მიკრო : მუსიკის შექმნის ტენდენციები XX და XXI საუკუნეებში. ლიეტუველი კომპოზიტორების ნამუშევრები“. Lecture – “MINI & MICRO: Tendencies of Music Composing in the 20th-21st c. Works by Lithuanian Composers”</p>	<p>14:00</p>	<p>აუდ/ aud. № 421</p>

2 მაისი, ხუთშაბათი
MAY, THURSDAY

<p>მონაწილეების რეგისტრაცია / Registration of participants</p>	<p>09:15 - 09:50</p>	<p>IV სართული / Floor</p>
<p>კონფერენციის გახსნა / Opening of the conference</p>	<p>09:50 - 10:00</p>	<p>აუდ. / aud. №421</p>
<p>პლენარული სესია 1 / Plenary session 1</p>	<p>10:00 - 11:30</p>	<p>აუდ. / aud. №421</p>
<p>შესვენება / Coffee break</p>	<p>11:30 - 12:00</p>	
<p>პლენარული სესია 2 / Plenary session 2</p>	<p>12:00 - 14:00</p>	
<p>შესვენება / Break</p>	<p>14:00 - 14:50</p>	
<p>პლენარული სესია 3 / Plenary session 3</p>	<p>14:50 - 16:20</p>	<p>აუდ. / aud. №425</p>
<p>პლენარული სესია 4 / Plenary session 4</p>	<p>10:00 - 11:30</p>	
<p>შესვენება / Coffee break</p>	<p>11:30 - 12:00</p>	
<p>პლენარული სესია 5 / Plenary session 5</p>	<p>12:00 - 14:00</p>	
<p>შესვენება / Break</p>	<p>14:00 - 14:50</p>	<p>მცირე დარბაზი Recital Hall</p>
<p>პლენარული სესია 6 / Plenary session 6</p>	<p>14:50 - 16:20</p>	
<p>კონცერტი – „თბილისის კონსერვატორია წარმოგიდგენთ: ქართული პროფესიული მუსიკა საზღვრებით და საზღვრებს გარეშე“. კონცერტს გაუძღვება ჰიანისტი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ნინო ჟვანია. Concert - “Tbilisi Conservatoire Presents: <i>Georgian Professional Music with and without Borders</i>”. Concert will be led by pianist, PhD in Art Studies Nino Jvania.</p>	<p>17:00</p>	<p>დიდი დარბაზი Grand Hall</p>
<p>ტრადიციული მუსიკის საღამო, მიძღვნილი საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, მუსიკისმცოდნე ვლადიმერ ახოზაძის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი. საღამოს გაუძღვება პროექტის ავტორი – ეთნომუსიკოლოგი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ნატალია ზუმბაძე. THE EVENING OF TRADITIONAL MUSIC Dedicated to the 100th Anniversary from the Birth of musicologist, Merited Worker of Georgian Culture VLADIMIR AKHOBADZE. The evening will be led by ethnomusicologist, PhD in Art Studies Natalia Zumbadze – author of the project.</p>	<p>19:00</p>	

3 მაისი, პარასკევი
MAY, FRIDAY

პლენარული სესია 7 / Plenary session 7	09:30 -11:30	აუდ / aud. № 421
შესვენება / Coffee break	11:30 -12:00	
პლენარული სესია 8 / Plenary session 8	12:00 -14:00	
შესვენება / Break	14:00 -14:50	
პლენარული სესია 9 / Plenary session 9	14:50 -16:20	
პლენარული სესია 10 / Plenary session 10	12:00 -14:30	აუდ / aud. № 425
<p>მრგვალი მაგიდა: „მუსიკოლოგიური დისციპლინების სწავლება, პერსპექტივები და გამოწვევები უმაღლესი სამუსიკო დაწესებულებებისათვის“.</p> <p>მომხსენებლები: დინა ლენტსერი, რიმა პოვილიონიენე, მარინა ქავთარაძე, მარია ნადარეიშვილი</p> <p>Round table: "Teaching of musicological disciplines: challenges and perspectives for HEIs".</p> <p>Speakers: Dina Lentsner, Rima Povilioniene, Marina Kavtaradze, Marika Nadareishvili</p>	16:30 -18:00	აუდ / aud. № 421
<p>კონცერტი – „ერთი ხეობის ფოლკლორი – ჭვანა“ (აჭარული ტრადიციული სიმღერები და ცეკვები; ეთნოგრაფიული გამოფენა). პროექტის კოორდინატორი – ეთნომუსიკოლოგი ნინო რაზმაძე</p> <p>Concert – "A Valley's Folklore – Chvana" (Traditional Acharan Songs and Dances; Ethnographic Exhibition). Project coordinator – ethnomusicologist Nino Razmadze</p>	19:00	დიდი დარბაზი Grand Hall

4 მაისი, შაბათი
MAY, SATURDAY

<p>კულტურული პროგრამა Cultural Program</p>	11:00	<p>კონსერვატორიის შესასვლელი Main Entrance of the TSC</p>
--	-------	---

აშშ

დინა ლენცენერი
ნიკიტა მამედოვი

გერმანია

ქრისტოფ ფლამი

დიდი ბრიტანეთი

ნიკო ლე ვილიერსი

ლატვია

იულია იონანე

ლიტუვია

რიმა პოვილიონიენე
ბოჟენა ჩურლიონიენე

პოლონეთი

ევა ბოგულა
ბეატა ბოლესლავსკა-ლევანდოვსკა
პაველ განცარციკი
ჰანა ვინიშევსკა
ევა შრაიბერი

საქართველო

ქეთევან ბოლამვილი
თამაზ გაბისონია
მაია (მაია) ვირსალაძე
ნატალია ზუმბაძე
რუსუდან თაბაგარი
ოთარ ჯაჰანაძე
ქეთევან მათიაშვილი
ხათუნა მანაგაძე
ლელია მარუაშვილი
მარიუა ნადარეიშვილი
ეკატერინე ონიანი
ნინო ჟვანია
მაია სიგუა
მაია ტაბლიაშვილი
მარინა ქავთარაძე
გვანცა ღვინჯილია
ნანა შარიქაძე
თამარ ჩხეიძე
თამარ წულუკიძე
რუსუდან წერწემია
ეკა ჭაბაშვილი

სერბეთი

მილოშ ზატკალიკი

ფინეთი

ირინა გორკუნ-სილენი
ენ ელიზაბეტ პიირაინენი
ეველინა სუმელიუს-ლინდბლომი

FINLAND

Iryna Gorkun-Silén
Anne Elisabeth Piirainen
Eveliina Sumelius-Lindblom

GEORGIA

Ketevan Bolashvili
Eka Chabashvili
Tamar Chkheidze
Tamaz Gabisonia
Gvantsa Ghvinjilia
Nino Jvania
Otar Kapanadze
Marina Kavtaradze
Khatuna Managadze
Ketevan Matiashevili
Leila Maruashvili
Marika Nadareishvili
Ekaterine Oniani
Nana Sharikadze
Maia Sigua
Rusudan Tabagari
Maia Tabliashvili
Tamar Tsulukidze
Rusudan Tsurtsumia
Maka (Maya) Virsaladze
Natalia Zumbadze

GERMANY

Christoph Flamm

LATVIA

Jūlija Jonāne

LITHUANIA

Božena Čiurlionienė
Rima Povilioniene

POLAND

Ewa Bogula
Beata Boleslawska-Lewandowska
Paweł Gancarczyk
Ewa Schreiber
Hanna Winiszewska

SERBIA

Miloš Zatkalić

UNITED KINGDOM

Nico de Villiers

USA

Dina Lentsner
Nikita Mamedov

PhD candidate, senior specialist in the Research and Publishing Department in the Fryderyk Chopin Institute in Warsaw; graduate of the Institute of Musicology of the University of Warsaw. In 2015, she defended her Master work entitled „Joseph Woelfl i jego koncerty fortepianowe G-dur op. 20 oraz D-dur „Le Coucou” op. 49” [Joseph Woelfl and his piano concertos in G major, Op. 20 and in D major („Le Coucou”), Op. 49], written under the supervision of Prof. Alina Żórawska-Witkowska. She is currently working on her doctoral dissertation about Polish piano concertos (1850–1918) at the University of Warsaw under the supervision of Prof. Szymon Paczkowski. She has presented the results of her research at national and international conferences. She has written a number of articles. In her work at the Chopin Institute, she has coordinated organising of international musicological conferences and she was assistant and managing editor in a number of publications.

Polish and Cosmopolitan Elements in the Piano Concertos of Henryk Melcer

Henryk Melcer (1869–1928), a Polish composer, pianist, teacher and conductor, like many other 19th-century artists referred to his own country’s roots in his *œuvre*, drawing inspiration from Polish dances or using quotes from national melodies. Melcer trained with, among others, Zygmunt Noskowski and Rudolf Strobl at the Warsaw Music Institute from 1888 to 1891, as well as with Theodor Leschetizky in Vienna from 1891 to 1894. It was during his studies with Leschetizky that he wrote his *Piano Concerto in E minor*, the first of the composer’s works to contain national elements – using Polish mazurka dances. Shortly thereafter, in the period from 1897 to 1898, Melcer’s *Piano Concerto no. 2 in C minor* was written. The composer dedicated this work to his distinguished piano teacher – Theodor Leschetizky. In his second composition of this type as well, though to a lesser degree, Melcer made use of national models, again using mazurka dances. During my talk, I would like to present Melcers’s piano concerti considering in particular the Polish elements to be found in them, and attempt to answer the question whether Melcer continues the ideas of Fryderyk Chopin – his great predecessor in this genre in the Polish music of the 19th century or goes beyond Chopin’s borders.



PARTICIPANTS
მონაწილეები

**ევა ბოგულა
Ewa Bogula**

**პოლონეთი
Poland**

ფრედერიკ შოპენის ინსტიტუტის (ვარშავა) კვლევისა და გამომცემლობის დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი. დამთავრდა ვარშავის უნივერსიტეტის მუსიკოლოგიის ინსტიტუტი, 2015 წელს პროფ. ალინა ჯორავსკა-ვიტკოვსკას ხელმძღვანელობით დაცვა სამაგისტრო ნაშრომი თემაზე – „ჯოზეფ ვოელფელი და მისი საფორტეპიანო კონცერტები: სოლ მაჟორი, ოპ. 20 და რე მაჟორი („Le Coucou”), ოპ. 49”. ამჟამად მუშაობს სადოქტორო ნაშრომზე პოლონური საფორტეპიანო კონცერტების (1850-1918) შესახებ ვარშავის უნივერსიტეტში პროფ. შიმონ ჰაჩკოვსკის ხელმძღვანელობით. ე. ბოგულას კვლევის შედეგები წარმოდგენილია ეროვნულ და საერთაშორისო კონფერენციებზე. იგი ავტორია რიგი სტატიებისა. შოპენის ინსტიტუტში ევალეუბა საერთაშორისო მუსიკოლოგიური კონფერენციების ორგანიზების კოორდინირება. იყო რიგი პუბლიკაციების გამოცემის ასისტენტი და ხელმძღვანელი.

პოლონური და კოსმოპოლიტური ელემენტები ჰენრიკ მელცერის საფორტეპიანო კონცერტებში

პოლონელი კომპოზიტორი, პიანისტი და დირიჟორი – ჰენრიკ მელცერი (1869-1928), XIX საუკუნის ბევრი ხელოვანის მსგავსად, თავის შემოქმედებაში ყურდნობოდა ეროვნულ ტრადიციებს, შთაგონებას იღებდა რა პოლონური ცეკვებიდან, ან ციტირებდა ეროვნულ მელოდიებს. მელცერი სწავლობდა ზიგმუნდ ნოსკოვსკისა და რედოლფ სტრობელთან ვარშავის მუსიკის ინსტიტუტში 1888-1891 წლებში, ასევე თეოდორ ლეშეტიცკისთან ვენაში 1891-1894 წლებში. ლეშეტიცკისთან სწავლების პერიოდში მან დაწერა საფორტეპიანო კონცერტი მი მინორი, კომპოზიტორის პირველი ნაწარმოები, რომელიც შეიცავს ეროვნულ ელემენტებს (გამოყენებულია პოლონური ცეკვები – მაზურკეები). ამის შემდგომ, 1897-98 წლებში შეიქმნა მელცერის მეორე საფორტეპიანო კონცერტი დო მინორი. კომპოზიტორმა იგი მიუძღვნა თავის ფორტეპიანოს პედაგოგს – თეოდორ ლეშეტიცკის. ამ ნაწარმოებში კომპოზიტორმა კვლავ გამოიყენა ეროვნული მოდელები მაზურკეების სახით. მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება მელცერის საფორტეპიანო კონცერტებში არსებული პოლონური ეროვნული ელემენტები; ავტორი შეეცდება პასუხი გასცეს კითხვას – აგრძელებს თუ არა მელცერი ამ წინაშე XIX საუკუნის პოლონურ მუსიკაში მისი დიდი წინამორბედის – შოპენის იდეებს, თუ სცდება მათ საზღვრებს.



ქეთევან ბოლაშვილი Ketevan Bolashvili

საქართველო
Georgia

მუსიკოლოგი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპოზიციის და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის პროფესორი. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1987), ხოლო 1991 წელს მოსკოვის (რუსეთი) ხელოვნებათმცოდნეობის ინსტიტუტის ასპირანტურა და იქვე დაიცვა დისერტაცია (1994). იგი მრავალი სამეცნიერო სტატიისა და წიგნის ავტორია, მათ შორის: „XX საუკუნის მუსიკის ისტორია. ლექციები“ (2011), „XX საუკუნის მუსიკალური ნაწარმოებების ანალიზი“ (თანაავტორი ქეთევან ჭიკაძე) (2017), „ბაროკოს ეპოქის მუსიკა: ისტორიის და თეორიის საკითხები“ (2018). სისტემატურად მონაწილეობს სამეცნიერო კონფერენციებში საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ. თანაავტორია რადიოგადაცემების ციკლის „XX საუკუნე – მუსიკა და მუსიკოსები“ (გადაიცა საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის რადიოს მიერ). ქეთევან ბოლაშვილი არის ყოველწლიური ფესტივალის – „თბილისი. თანამედროვე მუსიკის საღამოები“ დირექტორი.

დასავლეთი – აღმოსავლეთი: აშშ-დან ევროპისკენ

საუკუნის მუსიკალური ხელოვნების ერთ-ერთი საბაზისო თვისება – ბგერის მიმართ ახალი, ტრადიციულიდან განსხვავებული დამოკიდებულება, როგორც თვითმართი და თვითღირებული მოვლენის მიმართ, საერთო და გამაერთიანებელი პრინციპია მოდერნის და ავანგარდის ეპოქების სხვადასხვა მხატვრული მიმართულებების და შემოქმედებითი ინდივიდუალობისთვის. მოხსენების მიზანს წარმოადგენს არსებულ სიახლეთა მრავალფეროვნებიდან მხოლოდ იმ ნაწილის წარმოჩენა, რომელიც მუსიკალური ენის ერთ-ერთ ელემენტს, ბგერათსიმალტურულ ჰარამეტრს უკავშირდება. ამასთანავე, იგი არ შემოიფარგლება მხოლოდ საკომპოზიციო ტექნიკის ელემენტის როლით და წარმოადგენს ნაწარმოების ესთეტიკურ და მხატვრულ-მინარსობრივ ასპექტებს. ბგერისადმი ახალი დამოკიდებულების მიმართ ინტერესი, ესაა ის მხატვრული პროცესები, რომლებიც სინქრონულად და, ხშირად, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მიმდინარეობდა დასავლეთში და აღმოსავლეთში (მოხსენებაში გეოგრაფიული ორიენტირები „დასავლეთი-აღმოსავლეთი“ გულისხმობს აშშ-ს და ევროპას).

აღსანიშნავია, რომ XIX საუკუნეში ევროპიდან ამერიკაში „ექსპორტირებული“ აკადემიური მუსიკა, XX საუკუნის მეორე ნახევარში, თვისობრივად განახლებული, დაუბრუნდა ევროპას. მნიშვნელოვანია, რომ სწორედ აშშ-ში მოღვაწე კომპოზიტორებმა შექმნეს მრავალსაუკუნოვანი ისტორიული ცნობიერებისგან თავისუფალი და შემოქმედებითი ექსპერიმენტისთვის გახსნილი მხატვრული რეალობა. ამ პროცესების სათავეში იდგნენ ჩარლზ აივზი და ჰენრი კოუელი. ანალოგიური პროცესები მიმდინარეობდა ევროპულ მუსიკაში, მაგალითად, ტებუსის, ბარტოკის შემოქმედებაში, მაგრამ განსაკუთრებული ინტენსივობით განვითარდა ედვარდ ვარეზის და მოგვიანებით პერჩის, კრამბის, კეიჯის – ერთი მხრივ, და ნონოს, შტოკაუზენის, ლიგეტის – მეორე მხრივ, შემოქმედებაში. ამგვარად, ევროპული ტრადიციის აკადემიური მუსიკის პრინციპები, აშშ-ში ახალი რესურსებით გამდიდრებული, კვლავ ევროპას დაუბრუნდა. ამ შემოქმედებითმა პროცესებმა უსასრულო ჯაჭვის სახე მიიღო.

Musicologist, PhD in Art Studies, Professor at Composition and Musicology Faculty of Vano Sarajishvili Tbilisi State Conservatoire. She graduated from Tbilisi State Conservatoire (1987); completed post-graduate course at the National Institute for the Study of Arts (Moscow, Russia, 1991) and defended the dissertation at the same Institute (1994). She is the author of many scientific articles and books including “History of the 20th Century Music. Lectures” (2011) and “Analysis Of the 20th Century Music” (with Ketevan Chitadze as co-author, 2017), “Music in Baroque Era: Issues of History and Theory” (2018). Ketevan Bolashvili actively participates in conferences in Georgia and elsewhere. She is the co-author of a Radio program cycle “20th Century – Music and Musician” on the radio of Georgian Public Broadcaster. Ketevan Bolashvili is director of the annual Festival “Tbilisi. Evenings of Contemporary Music”.

West – East: From the USA to Europe

One of the basic qualities of the XX Century music – a new attitude to sound, different from the traditional one, as to a self-sufficient, self-valued phenomenon, is a common and unifying principle for different artistic and creative individualities of modern and avant-garde epochs. The paper aims to present only a part of existing diverse innovations, which is connected with one of the elements of musical language the parameters of pitch. Besides, it is not limited to the role of the element of composing technique and represents aesthetic and artistic-content aspects of a work. Interest towards a new attitude to sound are the artistic processes that take place synchronously and often independently from each other in the works of Western and Eastern composers (in the paper geographical reference points “West-East” imply the USA and Europe).

It should be noted that academic music “exported” from Europe to America, returned to Europe qualitatively renewed in the second half of XX century. It is important that the composers working in the United States created the artistic reality free from centuries-old historical consciousness and open to creative experiment. These processes were led by Charles Ives and Henry Cowell. Similar processes took place in European music; for example, in the works of Debussy, Bartok, but developed with particular intensity in the works of Varèse and later in the creations of Partch, Crumb, Cage, on the one hand, and Nono, Stockhausen, Ligeti, on the other hand. Thus, the principles of academic music of European tradition returned to Europe enriched with new resources in the US. These creative processes took the form of an infinite chain.

PhD, Assistant Professor at the Institute of Art, Polish Academy of Sciences in Warsaw. The author of books: *Panufnik* (Kraków 2001), *Górecki. A Portrait in Memory* (Kraków 2013), *Panufnik. Architect of Emotions* (2014), *The Life and Works of Andrzej Panufnik (1914–1991)* (2015), *Mycielski. Noblesse oblige* (2018) and editor of the correspondence between Zygmunt Mycielski and Andrzej Panufnik (two volumes, 2016, 2018). She has also published numerous articles on Polish XX and XXI-century music, as well as texts for websites, concert programmes and CD booklets. She is Chair of the Musicological Section of the Polish Composers' Union.

Facing a New Reality – Polish Composers in the First Years after 1945

After the WW2 Poland was included into the Soviet zone of political control. The cultural policy of the communist party was soon to shadow the musical life in Poland. But the first years after 1945 was the time of an enormous activity in recreating – after the war pounding – the structures for musical organisations and building the shapes for musical life in the country. Already in 1945 there were created such institutions like Polish Music Publishers (PWM Edition) and the Polish Composers' Union – both to have a great impact on the artistic musical life for the following decades. Especially the years up to 1948 were of particular importance for creating institutions and for presenting important musical works. But together with tightening the political control, symbolised by imposing the doctrine of socialist realism in music (1949), the situation became much more difficult: the composers lost their independence and the country plunged into the cultural isolation which lasted until the political thaw in 1956.

The paper aims to show the strategies that Polish composers took in the first years after WW2 to create both the organisational frames for their existence, and to compose ambitious and original music. The crucial time of 'sinking into socialist realism' will be presented using selected source materials – mainly the correspondence and speeches by the composer and music critic, Zygmunt Mycielski, President of the Polish Composers' Union in 1948–50.

ბეატა ბოლესლავსკა-
ლევანდოვსკა
**Beata Bolesławska-
Lewandowska**

პოლონეთი
Poland



PARTICIPANTS
0 0 6 6 1 1 0 0 0 0

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიასთან არსებულ ხელოვნების ინსტიტუტის (ვარშავა) ასისტენტ პროფესორი. ავტორია წიგნების: *Panufnik* (კრაკოვი, 2001), *Górecki. A Portrait in Memory* (კრაკოვი, 2013), *Panufnik. Architect of Emotions* (2014), *The Life and Works of Andrzej Panufnik (1914–1991)* (2015), *Mycielski. Noblesse oblige* (2018); ასევე, რედაქტორია ზიგმუნდ მიჩელსკისა და ანდრეი პანუფნიკის მიმოწერის, გამოქვეყნებული აქვს: სტატიები XX-XXI საუკუნის პოლონური მუსიკის შესახებ, ტექსტები ვებ-გვერდებისთვის, საკონცერტო პროგრამებისა და CD ბუკლეტებისთვის, პოლონეთის კომპოზიტორთა კავშირის მუსიკოლოგიის განყოფილების თავმჯდომარეა.

**ახალი რეალობის წინაშე – პოლონელი კომპოზიტორები
1945 წლის შემდგომ პირველ წლებში**

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პოლონეთი საბჭოთა კავშირის მიერ კონტროლირებად ზონაში მოექცა. კომუნისტური პარტიის კულტურულმა პოლიტიკამ მალევე დააბნელა პოლონეთის მუსიკალური ცხოვრება. თუმცა, 1945 წლის შემდგომი პირველი წლები არანორმალური აქტივობის პერიოდია – ომის შედეგად დამღილი მუსიკალური ორგანიზაციების სტრუქტურების აღდგინებისა და ქვეყანაში მუსიკალური ცხოვრების შექმნის. უკვე 1945 წელს ჩამოყალიბდა ისეთი ინსტიტუტები, როგორცაა Polish Music Publishers (PWM Edition) და პოლონეთის კომპოზიტორთა კავშირი – ორივემ დიდი გავლენა იქონია მომდევნო ათწლეულების მუსიკალურ-შემოქმედებით ცხოვრებაზე. ინსტიტუტებისა და მნიშვნელოვანი მუსიკალური ნაწარმოების წარმოსადგენად განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პერიოდს 1948 წლამდე. პოლიტიკური კონტროლის გამყარებასთან ერთად, რომლის სიმბოლო გახდა მუსიკაში სოციალისტური რეალიზმის თავსმოხვეული დოქტრინა (1949), სიტუაცია მეტად გართულდა: კომპოზიტორებმა დაკარგეს დამოუკიდებლობა და ქვეყანა ჩაიძირა კულტურულ იზოლაციაში, რომელიც გაგრძელდა პოლიტიკურ დათბობამდე 1956 წელს.

მოხსენების მიზანია წარმოაჩინოს კომპოზიტორთა სტრატეგიები, რომლებსაც ისინი მიმართავდნენ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პირველ წლებში, რათა შეექმნათ თავიანთი არსებობისთვის აუცილებელი საორგანიზაციო ჩარჩოები და ამბიციური და ორიგინალური მუსიკა. „სოცრეალიზმში ჩაძირვის“ კრიტიკული დრო წარმოდგენილი იქნება რჩეული მასალებით – კომპოზიტორისა და მუსიკოს-კრიტიკოსის, 1948-50 წლებში პოლონეთის კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარის ზიგმუნდ მიჩელსკის მიმოწერისა და გამოსვლების სახით.



თამაზ გაბისონია
Tamaz Gabisonia

საქართველო
Georgia

მუსიკოლოგიის დოქტორი, ეთნომუსიკოლოგი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი და სტუდენტური ფოლკლორული გუნდის ხელმძღვანელი, გიორგი მთანმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებლის დეკანი. დაამთავრა თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორია 1986 წელს. 2009 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე „ქართული ტრადიციული მრავალხმიანობის ფორმები“. 1995-2011 წლებში იგი მუშაობდა თბილისის კონსერვატორიაში როგორც პედაგოგი და მეცნიერ-თანამშრომელი. სხვადასხვა დროს ყითხულობდა ლექციებს თბილისის კულტურის ინსტიტუტში, გიორგი მთანმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლეს სასწავლებელში, ბათუმის სახელმწიფო კონსერვატორიაში. 2011 წლიდან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორია. მისი კვლევითი ინტერესებია: ტრადიციული მრავალხმიანობის ფორმები, ქართული ხალხური სიმღერა და საეკლესიო საგალობელი, ტრადიციული მუსიკის შემსრულებლობის საკითხები, მსოფლიო ხალხთა ტრადიციული მუსიკა, მუსიკა და რელიგია, მუსიკა და სემიოტიკა. მონაწილეა მრავალი ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციისა და ექსპედიციის.

ქართული ტრადიციული მუსიკის ნიმუშთა ფიქსაციისა და ანალიზის პრობლემური საკითხები

ქართული ხალხური სიმღერისა და საეკლესიო საგალობლის მუსიკალური ნიმუშების ანალიზი ქართულ მუსიკისმცოდნეობაში ხშირად გამბედავად ცხარე დისკუსიის საგანია. მუსიკოლოგი თორნიკეოსები და ეთნომუსიკოლოგები დღესაც განსხვავებული რაკურსით აღიქვამენ ამ ფენომენალური მოვლენის ზოგიერთ ტექსტურ თუ კომპოზიციურ ასპექტს. შედეგად, ტრადიციული მუსიკის ნიმუშის ტექსტობრივი ანალიზი, მათ შორის – სასწავლო პრაქტიკაში, გარკვეულ წინააღმდეგობებს აწყდება. მოხსენება სწორედ ამგვარ, განსხვავებულ პოზიციათა შეჯერების ერთ ლოკალურ ცდას წარმოადგენს. ვეცდებით მიმოვიხილოთ და პრიორიტეტები გამოვარჩიოთ კვლევის იმ მიმართულებებში, სადაც განსაუთრებით რელევანტურად მიგვაჩნია სხვადასხვა სამეცნიერო ტრადიციის მუსიკისმცოდნეთა პოზიციების ერთ სიბრტყეში მოქცევა. ძირითადად ვგულისხმობთ შემდეგ პრობლემებს:

- ევროპული და ქართული ტერმინოლოგიური შესაბამისობები;
- ევროპული ტემპერაცია და ქართული ბგერათრიბი;
- ოქტავური და მონოტონიკალური სისტემების ურთიერთმიმართება;
- მრავალხმიანობის ფორმები და მათი სახელები;

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ მიმართებით მსჯელობისას განსაუთრებით საინტერესო შედეგებს მოგვცემს ჰიბრიდული ნიმუშების ანალიზი. წარმოდგენილი თვალთახედვით ყურადღებას იპყრობს ქართული ტრადიციული მუსიკის ფიქსაციისა და კონსერვაციული ტექსტობრივი ანალიზის საკითხები. კერძოდ, ჯერ კიდევ დასახვევია სხვადასხვა მოტივაციის (სასწავლებელი, სასწავლო, მეცნიერული) სანოტო ტრანსკრიფციის ზოგადი ხერხების შემუშავება. ასევე, მუსიკალური ენის სხვადასხვა კომპონენტის – კილოს, მრავალხმიანობის, აკორდის (კონკორდის), მოდულაციის, კადანსის და სხვათა გამორჩევისა და სახელებების მეთოდები. ვფიქრობთ, ზემოაღნიშნული პრობლემების ერთ ჰარადიგმაში მოქცევის ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა უნდა იყოს ცნებათა იმგვარი დახასიათება, რომელიც თანხმობაში იქნება როგორც სხვადასხვა პოზიციის ქართულ (მათ შორის – ხალხური თვალთახედვის), ასევე საერთაშორისო პრაქტიკასთან.

Doctor of Musicology, ethnomusicologist, Associate Professor at Ilia State University, director of Ilia State University student folk choir, Dean at Giorgi Mtatsmindeli High School of Ecclesiastical Chant. He graduated from Musicology Department of Tbilisi State Conservatoire (1986), defended doctoral dissertation “Forms of Georgian Traditional Polyphony” (2009). He was a lecturer and scientific worker at Tbilisi State Conservatoire in 1995-2011. At various times he delivered lectures at Tbilisi Institute of Culture, Giorgi Mtatsmindeli High School of Chanting, Batumi State Conservatoire. Has been associate professor at Ilia State University since 2011. Gabisonia’s research interests are focused on the forms of traditional polyphony, performance issues of Georgian folk songs and church hymns, traditional music of the World peoples, music and religion, music and semiotics. He has participated in a number of national and international scientific conferences and field expeditions.

Problematic Issues in the Documentation and Analysis of Georgian Traditional Music Examples

Analysis of the musical peculiarities of Georgian folk songs and ecclesiastical chants has often been the subject of heated discussion in Georgian musicology. Musicology theoreticians and ethnomusicologists still regard some of textual or compositional aspects of this phenomenon from different perspectives. As a result, textual analysis of traditional music example, in the study practice as well, faces certain obstacles. The paper is a local attempt to revise these different positions. We will try to review and select priorities in the research directions where we consider it most relevant to place the positions of the scholars with various scientific traditions in the same plane.

We, basically, imply the following problems:

- Accordance of European and Georgian terminologies;
- European and Georgian sound scales;
- Interrelation of octave and monotonic systems;
- Forms of polyphony and their definitions;

It should also be considered that the analysis of hybrid examples provides most interesting results when discussing this problem. In this regard attention is drawn to the documentation of Georgian traditional music and analysis of specific texts. Namely, elaboration of general means of musical notation for various motivations (educational, scientific) has yet to be improved, as well as the methods to distinguish and name different components of musical language – mode, polyphony, chord (concord), modulation, cadence, etc. We think, that one important prerequisite for putting the above-mentioned problems into one paradigm is characterization of the concepts that will correspond to different positions of both Georgian (including folk viewpoint) and international practice.

Associate Professor at the Institute of Art of the Polish Academy of Sciences, Warsaw, as well as Editor-in-Chief of the quarterly „Muzyka”. His main areas of research are musical culture of Central Europe in the 15th and 16th centuries, manuscript studies and early music editions. Recently he published *La musique et la révolution de l'imprimerie. Les mutations de la culture musicale au XVIe siècle* (Lyon 2015; recipient of the 2016 Prix des Muses, France) and edited *Ars musica and its context in medieval and early modern culture* (Warsaw 2016). Currently he is principal investigator of the HERA (Humanities in the European Research Area) project „Sound memories: the musical past in late-medieval and early-modern Europe”.

Towards New Narratives of Historiography of Medieval Music: the Case of Polytextual Motet in Central Europe

In the musical historiography of the Western Middle Ages, the greatest importance is attached to phenomena that testify to gradual development of music. The narration focuses on the styles, genres and composers that represented modern musical trends. There are many valuable phenomena, important for regional or social identities, which are omitted simply because they do not fit into the progressive model of historiography.

This kind of narration can be testified by motet as a central genre of late medieval music. Many synthetic musicological works discuss French, Italian and English motets, ignoring the motets created and developed in Central Europe, which established a separate tradition of the genre, cultivated in the German lands, Bohemia, Poland and Hungary. Central-European motets were elements of regional and social identity, as shown in the works of Petrus Wilhelmi de Grudencz (1392-after 1452).

**პაველ განცარჩიკი
Paweł Gancarczyk**

პოლონეთი
Poland



PARTICIPANTS
მონაწილეობაში

პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული ხელოვნების ინსტიტუტის (ვარშავა) ასოცირებული პროფესორი, ჟურნალ „Muzyka“-ს მთავარი რედაქტორი. მისი უკლესი მთავარი სფეროა XV-XVI სს. ცენტრალური ევროპის მუსიკა, ხელნაწერთა შესწავლა და ძველი მუსიკის გამოცემები. ახლახან გამოსცა *La musique et la révolution de l'imprimerie. Les mutations de la culture musicale au XVIe siècle* (Lyon 2015; recipient of the 2016 Prix des Muses, France) და რედაქტირება გაუკეთა გამოცემას *Ars musica and its context in medieval and early modern culture* (Warsaw 2016). ამჟამად HERA-ს (Humanities in the European Research Area) პროექტის – „Sound memories: the musical past in late-medieval and early-modern Europe” – სამეცნიერო ხელმძღვანელია.

**შუა საუკუნეების მუსიკის ისტორიოგრაფიის ახალი ნარატივები:
პოლიტექსტობრივი მოტეტი ცენტრალურ ევროპაში**

დასავლეთის შუა საუკუნეების მუსიკალურ ისტორიოგრაფიაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოვლენებს, რომლებიც მუსიკის თანდათან განვითარებას წარმოაჩენს. ყურადღება გამახვილებულია იმ სტილებზე, ჟანრებსა და კომპოზიტორებზე, ვინც წარმოადგენდა იმდროინდელ თანამედროვე ტენდენციებს. არსებობს რეგიონალური ან სოციალური იდენტობისთვის მნიშვნელოვანი ბევრი ღირებული მოვლენა, რომელიც უზრალოდ გამოჩენილია, ვინაიდან ისინი ისტორიოგრაფიის პროგრესულ მოდელს არ ესადაგება.

ამ ტიპის ნარატივის ნიმუშია მოტეტი, როგორც გვიანი შუა საუკუნეების მუსიკის ცენტრალური ჟანრი. ბევრ სინთეზურ მუსიკოლოგიურ შრომაშია განხილული ფრანგული, იტალიური და ინგლისური მოტეტები, მაშინ, როდესაც იგნორირებულია ცენტრალურ ევროპაში შექმნილი და განვითარებული მოტეტები, რომლებმაც დაამკვიდრეს ჟანრის განსხვავებული ტრადიცია, კულტივირებული გერმანულ მიწებზე, ბოჰემიაში, პოლონეთსა და უნგრეთში. ცენტრალურ-ევროპული მოტეტები რეგიონალური და სოციალური იდენტობის ელემენტები იყო, რასაც მოწმობს პეტრუს ვილ-ჰელმ დე გრუდენცის (1392-1452 წლის შემდეგ) ნაწარმოებები.



ირინა გორკუნ-სილენი
Iryna Gorkun-Silén

ფინეთი
 Finland

The Ukrainian - born flautist Iryna Gorkun-Silén has performed as a soloist, in chamber music ensembles and with orchestras in Ukraine, Russia, Poland, Italy, Germany, Switzerland, Belgium, France, Finland and South Korea. In 2007-2011 Iryna completed two Master Degrees at the ZHdK in Zürich, Switzerland with Prof. Philippe Racine. Since 2014 Iryna has been a doctoral student at the Sibelius academy, Helsinki, and has attended several conferences in Vilnius, Tallinn, Helsinki and London. In 2016 she was a fellow student at the Summer Academy of Artistic Research in Tromsø, Norway.

წარმოშობით უკრაინელი ფლეიტისტი. კონცერტირებდა როგორც სოლისტი, ასევე, ჯამერულ ანსამბლებსა და ორკესტრებთან ერთად უკრაინაში, რუსეთში, პოლონეთში, იტალიაში, გერმანიაში, შვეიცარიაში, ბელგიაში, საფრანგეთში, ფინეთსა და სამხრეთ კორეაში. 2007-2011 წლებში მიიღო ორი მაგისტრის ხარისხი ციურიხში, შვეიცარიაში (ZHdK) პროფ. ფილიპ რასინთან. 2014 წლიდან ირინა სიბელუსის აკადემიის (ფინეთი) დოქტორანტია. როგორც დოქტორანტი, მონაწილეობდა ჯონ-ფერენციებში ვილნიუსში, ტალინში, ჰელსინკსა და ლონდონში, 2016 წელს მონაწილეობდა შემოქმედებითი კვლევის ზაფხულის აკადემიაში ტრომსოში, ნორვეგიაში.

პოლ ტაფანელი და მარსელ მოიზი – ფრანგული საფლეიტო სკოლის ორი პიონერი

ფლეიტაზე შესრულების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სკოლა საფრანგეთში დაარსდა მე-19 საუკუნეში და მე-20 საუკუნეში განვითარდა. მსოფლიოში მეტად მნიშვნელოვანი ბევრი ფლეიტისტი ამ არაჩვეულებრივი ტრადიციის ნაწილი იყო და მათი მემკვიდრეობა დღესაც ცოცხალია. ჩემი სადოქტორო ნაშრომი განიხილავს ფრანგული საფლეიტო სკოლის ისტორიას უდიდესი მასწავლებლის, პოლ ტაფანელიდან – მომღვეწო თაობის ცნობილ ფრანგ სოლისტ-ფლეიტისტებზე ფოკუსირებით.

ახალგაზრდა ფლეიტისტი ტაფანელი მოხიბლული იყო საოპერო სიმღერით. მისი ზოგიერთი, მოგვიანებით შექმნილი ფლეიტის სავარჯიშო ინსპირირებული იყო მომღერლის მიერ ტონისა და ხმის წარმოქმნის ტექნიკით. ეს ტენდენცია ჩანს მის სტუდენტთან, მარსელ მოიზთან, რომელმაც თავისი ზოგიერთი სავარჯიშო ვოკალიზების მიხედვით ააგო. მარსელმა სავარჯიშოების რამდენიმე წიგნი შექმნა, რომელთაგან უმეტესობა დღემდე ფართოდ გამოიყენება და დაფასებულია მთელ მსოფლიოში.

მოსხენებაში ვისაუბრებ ჩემს, როგორც შემსრულებლის მოსახრებზე ტაფანელისა და მოიზის სავარჯიშოების შესახებ, გავანალიზებ ზოგიერთ სავარჯიშოს და განმარტავ, რა გავლენა იქონიეს პოლ ტაფანელმა და მარსელ მოიზმა თანამედროვე საფლეიტო საშემსრულებლო სკოლაზე.

Paul Taffanel and Marcel Moyse – Two Pioneers of the French Flute School

One of the most important schools of flute playing was founded in France in the 19th century and developed further in 20th century. Many of the world's most famous flutists were part of this extraordinary tradition, and its legacy lives on today.

My doctoral work follows the history of the French flute school starting from the great teacher Paul Taffanel, then focusing on the famous French flute soloists of the following generation.

As a young flutist, Taffanel was fascinated by opera singing. The singer's technique for tone and voice production seems to have been used as inspiration for some of his later exercises for flute.

You can follow this tendency with one of the Taffanel's student, Marcel Moyse, who seemed to build some of his exercises around vocalizes. Marcel wrote several books of exercises, most of which are still widely used and appreciated around the world.

In my presentation I will talk about my own reflections as a performer on exercises written by Taffanel and Moyse, analyse some of the exercises and explain how Paul Taffanel and Marcel Moyse have influenced modern school of flute playing.

South African-born pianist Dr Nico de Villiers is active as performer, coach and researcher. He is on the vocal staff at both the Guildhall School of Music and Drama and the Royal College of Music. He has performed as soloist and collaborative pianist across the UK, Europe, the USA and South Africa.


Since his interest in the Dutch-born American composer Richard Hageman commenced in 2007 at the University of Michigan, Ann Arbor, Michigan, USA, he collected all Hageman's published songs, performed various of these in recital and founded the Richard Hageman Society (RHS). As director of the RHS he opened an aqueduct and unveiled a memorial plaque dedicated to Hageman, curated a fringe festival at the North Netherlands Film Festival, undertook a lecture recital and masterclass tour of the USA, and rediscovered a Hageman orchestral work and organised its European premiere by the North Netherlands Orchestra (conducted by Per-Otto Johansson) in 2018.

Cinematic Elements in Richard Hageman's Songs

The Oscar-winning composer Richard Hageman (1881-1966) has been all but forgotten even though he played an important role in the development of the early 20th century American art song as a genre as well as championed the classic Hollywood film orchestra sound with specific colourful and inventive examples being *The Shanghai Gesture* (1941, director — Josef Sternberg) and *She Wore A Yellow Ribbon* (1949 — John Ford). It is only following more recent scholarly research which investigated Hageman's art song output and the development of his artistic identity that he has gradually been drawn up from footnotes to the main narrative. The influence of film on writers and visual artists have been researched (with Virginia Woolf and Salvador Dalí being clear examples). However, the way in which film influenced musicians and composers, as opposed to the contrary, remains an under researched topic. This presentation considers how various features in Hageman's art songs foreshadows his Hollywood film scores, and how his choice of poetry exposes the influence of cinematography throughout his song output. It will furthermore highlight the symbiotic relationship between the influence of film and cinema on Hageman as an art song composer and introduce a novel way of interpreting song texts from the perspective of the film director as a tool for performers. Arguments are illustrated with sound examples from several of Hageman's film scores and art songs.

**ნიკო დე ვილიერსი
Nico de Villiers**

დიდი ბრიტანეთი
United Kingdom



წარმოშობით სამხრეთ აფრიკელი ჰინანსტი, დოქტორი, მოქმედი შემსრულებელი, მასწავლებელი და მკვლევარი. გილდჰოლის მუსიკისა და დრამის სკოლისა და სამეფო სამუსიკო კოლეჯის (ლონდონი) ვოკალური დეპარტამენტის თანამშრომელი. სოლისტი და ანსამბლისტი ჰინანსტი-შემსრულებელი დიდ ბრიტანეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სამხრეთ აფრიკაში.

მკვლევრის დაინტერესება ჰოლანდიური წარმოშობის ამერიკელი კომპოზიტორის — რიჩარდ ჰეგემანის შემოქმედებით 2007 წელს მიჩიგანის უნივერსიტეტში დაიწყო. ანა არბორთან (მიჩიგანი, აშშ) ერთად მან შეაგროვა ჰეგემანის ყველა გამოცემული სიმღერა, შეასრულა კომპოზიციების უმეტესი ნაწილი და დააფუძნა რიჩარდ ჰეგემანის საზოგადოება (RHS), როგორც საზოგადოების დირექტორმა გახსნა ჰეგემანის მემორიალური დაფა, ხელმძღვანელობდა ჩრდილოეთ ნიდერლანდებში გამართულ კინო-ფესტივალს, ამერიკაში გამართა ლექცია-კონცერტი და მასტერკლასი, აღმოაჩინა ჰეგემანის საორკესტრო კომპოზიციები. ნიკო ვილიერსის ხელმძღვანელობით შედგა ჰეგემანის ნაწარმოებების ევროპული პრემიერა, ჩრდილოეთ ნიდერლანდების ორკესტრის შესრულებით (დირიჟორი პერ-ოტო იოჰანსონი, 2018 წ.).

კინემატოგრაფიული ელემენტები რიჩარდ ჰეგემანის სიმღერებში

Musicologist, PhD in Art Studies, Professor at Music Theory Department of V. Sarajishvili Tbilisi State Conservatoire. Since 1972 has led theoretical courses and specialty on BA, MA and Doctoral levels. Has worked at the Quality Assurance Office of Tbilisi State Conservatoire since 2005; from 1996 was a member of the USSR Composers' Union, since 1990 has been a member of the Georgian Composers' Creative Union. Dr. Maruashvili has participated in various international projects and attained professional qualifications (an education facilitator, expert of the field) from the Promotion Project at the Ministry of Education and Science of Georgia. She conducts trainings on various issues for public music schools. Dr. Maruashvili's academic research focuses on modern Georgian polyphonic music, music form and methodology of teaching theoretical disciplines. She has participated in national and international academic conferences, symposia and seminars. She is the author of more than 70 scientific articles, courses of lectures including: "History of Polyphony. Great polyphonic cycles of the 20th century composers", "Theory of Polyphony", a monograph ("Polyphony in the Creative Works of Modern Georgian Composers"), e-books, study guides, articles and booklets.

ლეილა მარუაშვილი Leila Maruashvili

საქართველო
Georgia



PARTICIPANTS
მ მ გ ა რ ი ტ ა ა ბ ბ

Bricolage – Compositional Technique or Type of Thinking?

The paper discusses the kind of contemporary composing, in which composer's role can not be explained in traditional sense. Today, composers do not often compose their opuses, but "construct" them via transforming the borrowed material in different ways. It should be noted that, creators of contemporary music identify "another person's" material with "their own". Such stylistic intertextuality is implemented intentionally and consistently by the method of thinking with formulas, which is today recognized as the phenomenon called BRICOLAGE. "Creator" of such opuses – bricoleur is the author of a meta-text. He structures "something" from the already-existing; this makes him completely different from traditional composer. The study presents the examples of various musical practices clearly showing similarity with Bricolage method. From predecessors, liturgical-chant system is applied as an example, particularly Georgian one, musical compositions of which were created by combining the ready melodic formulas. Postmodern Bricolage method is characterized in modeling musical constructions from heterogeneous elements. "Another person's" material can be an art or non-art product: academic music of different styles, folk music, jazz, rock, film soundtracks, lounge music, audio recordings of city, nature, technique sounds, etc. Also interesting is technical aspect of Bricolage form creation. The analysis revealed which compositional techniques are applied by bricoleurs in the working process. These are: polystylistics, aleatory, minimalism, montage, sample and electronic compositions, DJing.

მუსიკოლოგი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, თბილისის ვ.სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის თეორიის მიმართულების პროფესორი. 1972 წლიდან დღემდე უძღვება სალექციო სასწავლო კურსებს მუსიკის თეორიის დისციპლინებში, არის საბაკალავრო, სამაგისტრო ნაშრომების და სადოქტორო დისერტაციების ხელმძღვანელი, ექსპერტი. 2005 წლიდან დღემდე მუშაობს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში. 1986 წლიდან – სსრკ კომპოზიტორთა კავშირის წევრი, 1990 წლიდან – საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის წევრია. ჩართულია თსუ-ს საერთაშორისო პროექტებში და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული კვალიფიკაციების ხელშეწყობის პროგრამაში (განათლების ფასილიტატორი, დარგის ექსპერტი). ატარებს ტრენინგებს საქართველოს ყველა რეგიონში საჯარო და სამუსიკო სკოლების მასწავლებლებისთვის. მისი სამეცნიერო ინტერესები დაკავშირებულია ახალი ქართული მუსიკის პოლიფონიის, მუსიკალური ფორმის და თეორიული დისციპლინების სწავლების მეთოდოლოგიის კვლევასთან. მონაწილეობა აქვს მიღებული რუსუბლტიურ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, სიმპოზიუმებში, სემინარებში. არის სამეცნიერო ნაშრომების, სალექციო კურსების („პოლიფონიის ისტორია. დიდი პოლიფონიური ციკლი XX საუკუნის კომპოზიტორთა შემოქმედებაში“, „პოლიფონიის თეორია“), მონოგრაფიის („პოლიფონია თანამედროვე ქართული კომპოზიტორების შემოქმედებაში“), ელექტრონული სახელმძღვანელოების („მუსიკის რეპეტიტორი“, „პიანის-გაკომპანიატორი“), მეთოდური სასწავლო სახელმძღვანელოს, სტატიების, ბუკეტების ავტორი.

ბრიკოლაჟი – საკომპოზიციო ტექნიკა თუ აზროვნების ტიპი?

მოსხენებაში განხილულია თანამედროვე საკომპოზიციო შემოქმედების სახეობა, რომელშიც კომპოზიტორის როლი ტრადიციული გაგებით არ შეიძლება იყოს ახსნილი. დღეს, კომპოზიტორები მხირად კი არ თხზავენ თავიანთ ნაწარმოებს, არამედ „აგებენ“ მათ ნასესხები მასალის სხვადასხვა გზით გარდაქმნის საშუალებით. აღსანიშნავია, რომ მუსიკის ახალი ფორმის შემქმნელთათვის „სხვისი“ მასალა გაიკვებულა „საკუთართან“. ყველაზე მიხანმამართულად და თანმიმდევრულად მსგავსი სტილური ინტერტექსტუალობა ხორციელდება ფორმულებით აზროვნების მეთოდის გამოყენებით, რომელიც დღეს აღიარებულია, როგორც ბრიკოლაჟის ფენომენი. მსგავსი თხზულებების „შემქმნელი“ – ბრიკოლერი – გამოდის მეტა-ტექსტის ავტორის როლში. ბრიკოლერი სტრუქტურირებს „რატაცა“ უკვე არსებულიდან, სწორედ ამიტომ ბრიკოლერი ძირფესვიანად გამოირჩევა ტრადიციული კომპოზიტორისგან. კვლევაში წარმოდგენილია სხვადასხვა მუსიკალური პრაქტიკების მსგავსი თხზულებების ბრიკოლაჟის მეთოდთან მსგავსება მკაფიოდ არის გამოხატული. წინამორბედებს შორის მოყვანილია საღვთისმსახურო-სამგალობლო სისტემები, კერძოდ, – ქართული, რომლის მუსიკალური კომპოზიციები იქმნებოდა მზა მეთოდური ფორმულების კომბინირებით. პოსტმოდერნისტიკული ბრიკოლაჟის მეთოდისთვის კი დამახასიათებელია მუსიკალური კონსტრუქციების ჰეტეროგენული ელემენტებისგან მოდულირება. „სხვისი“ მასალა შეიძლება იყოს როგორც ხელოვნების, ასევე არა-ხელოვნების პროდუქტი: სხვადასხვა სტილის აკადემიური მუსიკა, ფოლკლორი, ჯაზი, როკი, ფილმების საუნდტრეკები, ტაუნჯ მუსიკა, ქალაქის ბუნების, ტექნიკის ხმების აუდიოჩანაწერები და სხვ. ინტერესს იმსახურებს ბრიკოლაჟური ფორმების შექმნის ტექნოლოგიური ასპექტებიც. ჩატარება იყოს როგორც ხელნაწერზე წარმოჩნდა, განსხვავებული ელემენტების ასიმილაციის რა ხერხებს და კომპოზიციურ ტექნიკებს მიმართავენ ბრიკოლერები მუშაობის პროცესში. მათ შორის, აღსანიშნავია პოლისტილისტიკა, ალუაგორიკა, მინიმალიზმი, მონტაჟი, სემპლური და ელექტრონული კომპოზიცია, დიჯინგი.



მარია ნადარეიშვილი
Marika Nadareishvili

საქართველო
Georgia

Musicologist, PhD in Art studies (dissertation: "Ostinato Forms in European Professional Music" Tbilisi, 1997), Associate Professor of the Music Theory Department at V.Sarajshvili Tbilisi State Conservatoire; leads theoretical courses and specialty on BA, MA and Doctoral levels. Her scientific interest is focused on the study of contemporary music harmony, analysis, polyphony, musical techniques and notation problems. She is the author of more than 30 scientific articles, the course of lectures including: "History of Polyphony" (2007), "Musical Form Analysis" (2012, co-author with D. Arutiunov-Jincharadze). She regularly participates in national and international conferences; received DAAD (2012) and Georgian President's (1997-2000) scholarships; is Vice Editor-in-chief of the Conservatoire's Scientific Online Journal "Musicology and Cultural Science". At various times she was a Manager of Doctoral programs and Academic secretary of the Scientific Council (2008-2010), Head of Study Department (2010-2013), Head of Research Department (since 2013) at TSC.

**Dodecaphony in Creative Work
of Natela Svanidze**

Research, as well as creation/performance of dodecaphonic music, was forbidden in the Soviet Union due to the ideological restrictions; the works dedicated to these issues are encountered (mostly in Russian musicology) from the 1980s. However this topic has not yet been the subject of special study in Georgian musicology.

The paper discusses the historical context and reasons why dodecaphony did not succeed to arouse deep interest among Georgian composers. R. Gabichvadze, J. Bardanashvili, Z. Nadareishvili and others apply it as an experiment, par excellence. Natela Svanidze is the only Georgian composer, who, in the second half of her creative work (from the 1970s), successively bases on non-orthodox dodecaphony. On the example of her creation the paper focuses on the aspects, such as compatibility of dodecaphony with other composition techniques, folklorism, and its relation with the peculiarities of music form, texture and polyphony; also characterizes the series and the specificity of its application. The research has revealed that for N. Svanidze non-orthodox dodecaphony is the basis of composing together with free atonality, modality, sonoristics, and controlled aleatory. With this technique the composer created the music of radically different genre, form and content, where folk symphony or tragic monodrama, polistylistic oratorio saturated by urban colouring or archaic Georgian lamentations, are constructed on the invisible skeleton of seriality.

მუსიკოლოგი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი (დისერტაციის თემა „ოსტინატო ფორმები ევროპულ პროფესიულ მუსიკაში“, თბილისი, 1997), თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის თეორიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი. მიჰყავს თეორიული დისციპლინებისა და სპეციალობის კურსები სამივე საგანმანათლებლო საფეხურზე. მისი სამეცნიერო ინტერესები უკავშირდება თანამედროვე მუსიკის ჰარმონიისა და ფორმის, საკომპოზიტორო ტექნიკის, სანოტო დამწერლობის პრობლემებს. არის 40-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მათ შორის სალექციო კურსების: „პოლიფონიის ისტორია“ (2007) და „მუსიკალური ნაწარმოების ანალიზი“ (დღევანდელი არუთინოვ-ჯინჩარაძესთან თანავტორობით, 2012), სისტემატურად მონაწილეობს ეროვნულ და საერთაშორისო კონფერენციებში. მიღებული აქვს DAAD-ის (2012), საქართველოს პრეზიდენტის (1997-2000) სტიპენდიები. არის კონსერვატორიის ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალის „მუსიკისმცოდნეობა და კულტუროლოგია“ რედაქტორის მოადგილე. სხვადასხვა წლებში იყო თსუ-ს სადოქტორო პროგრამების კოორდინატორი და სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი (2008-2010); სასწავლო დეპარტამენტის უფროსი (2010-2013). სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის უფროსია 2013-დან დღემდე.

დოდეკაფონია ნათელა სვანიძის შემოქმედებაში

დოდეკაფონური მუსიკის კვლევა, ისევე, როგორც შექმნა/შესრულება, ცნობილი იდუარი მუხლუღების გამო აკრძალული იყო საბჭოთა კავშირში. შესაბამისად, მხოლოდ გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან ჩნდება ამ საკითხთან დაკავშირებული მუსიკოლოგიური შრომები (მეტწილად რუსულ მუსიკისმცოდნეობაში), თუმცა, ქართულ მუსიკოლოგიაში ეს პრობლემა დღემდე არ გამხდარა სპეციალური შესწავლის საგანი.

მოხსენებაში საუბარია ისტორიულ კონტექსტზე და მიზეზებზე, რის გამოც დოდეკაფონიამ იმდენად დიდი ინტერესი ვერ გამოიწვია ქართველ კომპოზიტორებს შორის. უპირატესად, როგორც ექსპერიმენტს, მას მიმართავენ რ. გაბიჩვაძე, ი. ბარდანაშვილი, ზ. ნადარეიშვილი და სხვები. ნათელა სვანიძე ერთადერთი ქართველი კომპოზიტორია, რომელიც შემოქმედების მეორე პერიოდში (1970-იანი წლებიდან) თანმიმდევრულად ეყრდნობა არაორთოდოქსულ დოდეკაფონიას. მოხსენებაში მისი შემოქმედების მაგალითზე ყურადღება გამახვილებულია ისეთ ასპექტებზე, როგორცაა: სერიულობის შეთავსება სხვა საკომპოზიტორო ტექნიკებთან, ფოლკლორულობასთან; მისი კავშირი მუსიკალური ფორმის, ფაქტურისა და პოლიფონიის თავისებურებებთან; დახასიათებულია სერია და მისი გამოყენების სპეციფიკა. კვლევამ ცხადყო, რომ ნ. სვანიძისთვის არაორთოდოქსული დოდეკაფონია, კომბინირებული თავისუფალ აკონალობასთან, მოდალობასთან, სონორისტიკასთან, კონტროლირებად ალტერაციასთან, საკომპოზიტორო წერის საფუძველია. კომპოზიტორი ამ ტექნიკის საშუალებით რადიკალურად განსხვავებული ჟანრის, ფორმისა თუ შინაარსის მუსიკას ქმნის, სადაც სერიულობის უხილავ ჩონჩხზე ეყრდნობა ფოლკლორული სიმფონია თუ ტრაგიკული მონოდრამა, ქალაქური კოლორიტით გაჯერებული პოლისტილისტიკური ორატორია თუ არქაული ქართული ლამენტაციები.

Musicologist, PhD in Art studies, Associate Professor at V. Sarajishvili Tbilisi State Conservatoire (Music Theory Department) and Giorgi Mtatsmindeli High School of Ecclesiastical Chant (Department of Ecclesiastical Music), researcher of old Georgian ecclesiastical music and neumatic notation, teacher of music theory subjects and music paleography, a member of Georgian National Committee of Byzantine Studies. She graduated from Musicology Department of Tbilisi State Conservatoire (Music Theory, 1996) defended the dissertation “Neumatic Script and Method of Neumatization in Georgian Liturgical Practice (basing on the manuscripts of 10-11th and 18th centuries)” under the supervision of Professor Manana Andriadze (2004). Her scientific interest is focused on music paleography, particularly on Georgian neumatic notation. Also researches the issues of ornamented chant. She is the author of a number of scientific articles; has published articles in Scientific Journals in Georgia and abroad, participates in national and international conferences.

Georgian Musical Paleography in Different Monastic Traditions

Main task of musical paleography is to study the genesis and classification of musical notation, identification of the peculiarities of music writing at various stages of development and their comparative analysis. Due to the scarcity of material monuments, Georgian neumatic notation, with the earliest examples dating back to the 10th century, can not show its historical evolution. We have only the examples from 10th-11th and 17th-18th centuries. So far there is a gap between 11th and 18th centuries. Nevertheless, the research of existing material provides an impressive idea on the essence of the system, its characteristics and regularities, which basically act throughout the existence of Georgian music writing and points to the stability of the system. The neumatic manuscripts from the 10th-11th centuries show a uniformed musical system, which was disseminated in Georgia and abroad, in ecclesiastical centers outside Georgia (Mount Sinai, Mount Athos). The neumes in the manuscripts have similar configuration, common is the method of neumatic notation. But despite unification, musical script of various monasteries had their own characteristic elements, symbols with particular configuration. Their existence within the unified system points to the diversity of chanting traditions. Individual manner is more pronounced in the manuscripts of famous 19th century chanters. The paper reveals individual neumes characteristic of some manuscripts and their corresponding graphemes in other sources.

ეკატერინე ონიანი Ekaterine Oniani

საქართველო
Georgia



PARTICIPANTS
მონაწილეები

მუსიკისმცოდნე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი. თბილისის ვ.სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის თეორიის მიმართულებისა და თბილისის გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებლის საეკლესიო მუსიკის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი. იკვლევს ძველ ქართულ საეკლესიო მუსიკასა და ნევმურ დამწერლობას, მიყვას მუსიკის თეორიისა და სამუსიკო პალეოგრაფიის კურსები. არის საქართველოს ბიზანტილოგთა ეროვნული ჯავშირის წევრი.

მისი სამეცნიერო ინტერესები დაკავშირებულია ზოგადად სამუსიკო პალეოგრაფიასთან, განსაკუთრებით ქართული ნევმური სისტემის კვლევასთან. ასევე, იკვლევს ქართული გამშვენებული გალობის საკითხებს. ავტორია რიგი სამეცნიერო შრომებისა. გამოქვეყნებული აქვს სტატიები სამეცნიერო კრებულებსა და ჟურნალებში, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. მონაწილეობს ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში.

ქართული სამუსიკო პალეოგრაფია სხვადასხვა სამონასტრო ტრადიციაში

სამუსიკო პალეოგრაფიის მთავარ ამოცანას შეადგენს სამუსიკო დამწერლობის გენეზისის კვლევა, კლასიფიკაცია, განვითარების სხვადასხვა ეტაპზე დამწერლობის თავისებურებების გამოვლენა და მათი შედარებითი ანალიზი. ქართული ნევმური დამწერლობა, რომლის უაღრესი ნიმუშები X საუკუნით თარიღდება, ნივთიერი ძეგლების უმარისობის გამო, მის ისტორიულ ევოლუციას ვერ გვიჩვენებს — მოგვეპოვება მხოლოდ X-XI და XVIII-XX საუკუნეებით დათარიღებული ნიმუშები, XI-XVIII საუკუნეებს შორის კი, დღესდღეობით, თეთრი ლაქაა. მიუხედავად ამისა, არსებული მასალის კვლევა საკმაო წარმოდგენას გვიქმნის სისტემის არსზე, მის მახასიათებლებსა და კანონზომიერებებზე, რაც, ძირითადად, მოქმედებს ქართულ სამუსიკო დამწერლობის მთელი არსებობის მანძილზე და მეტყველებს სისტემის სტაბილურობაზე. უკვე X-XI საუკუნეების სამუსიკო ნიმუშების შემცველი ხელნაწერები გვიჩვენებენ უნიფიცირებულ სამუსიკო სისტემას, რომელიც გავრცელებული იყო როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, უცხოეთის ქართულ სამონასტრო კერებში (სინას მთა, ათონის მთა). ერთნაირია ამ ნიმუშებში დაცული ნევმების ზოგადი გრაფიკა და კომბინაციური ერთეულები, საერთოა ნევმირების მეთოდი. მიუხედავად უნიფიცირებისა, სხვადასხვა მონასტრის სამუსიკო დამწერლობაში იკვეთება მხოლოდ მისთვის მახასიათებელი ელემენტები, განსაკუთრებული კონფიგურაციის მქონე ნიმუშები. მათი არსებობა, ერთნაირი სისტემის ფარგლებში, მეტყველებს საგალობო ტრადიციების მრავალფეროვნებაზე. ინდივიდუალური ხელნერა კიდევ უფრო გამოკვეთილია XIX საუკუნის სახელოვან მგალობელთა ხელნაწერებში.

მოხსენებაში გამოვლენილია ცალკეული ხელნაწერისთვის დამახასიათებელი ინდივიდუალური ნევმები და მათი პარალელური გრაფემები სხვა წყაროებში.



ენ ელიზაბეტ პიირაინენი
Anne Elisabeth Piirainen

ფინეთი
Finland

Finnish-German clarinetist, chamber musician and researcher Anne Elisabeth Piirainen is currently completing her doctoral studies at the Sibelius Academy Helsinki. Topic of the artistic research project is the clarinet repertoire from the former Soviet Union, with special attention to neglected works from Jewish composers. Her recent artistic and research activities include presentations and performances at the conferences in Belgrade, London, Vilnius, Tallinn, Helsinki, St. Petersburg, Ostend and Dublin.

Classical Clarinet Compositions with Jewish Themes from Russia and the Former Soviet Union: Restoring an Undervalued Repertoire from Double Neglect

Clarinet is traditionally one of the leading instruments in the Jewish folk music of Eastern Europe, Klezmer. In the field of classical music, works for clarinet with influences from Jewish traditional music form an exciting aspect of the repertoire. In the beginning of the 20th century in St. Petersburg, a group of classical composers with Jewish roots created exceptional works, combining traditional Jewish music elements with late-romantic composition techniques. Initially Aleksandr Krein, Grigory Krein, Aleksandr Veprik, and later Samuil Senderey and Polish-born Mieczyslaw Weinberg, composed highly valuable clarinet chamber music works. The influence of St. Petersburg group of composers reaches out even to Emigré-composers such as Mitya Stillman and Joseph Dorfman. Paradoxically, the best known clarinet chamber music work with Jewish themes is composed by non-Jewish Sergey Prokofiev, whereas the majority of fine clarinet works by other composers remains largely unknown until present-day. In this paper, the undervalued part of clarinet repertoire is analyzed from a performer's point of view. The focus lies on wide artistic possibilities inherent to the work of the composers, who are facing a double neglect: lifetime repressed up to imprisonment under the dictatorship of Stalin, and nowadays forgotten or ignored. By restoring this valuable clarinet repertoire through both research and performance, an exemplary, yet urgent call for ending unjustified musical disregard is set.

ფინელ-გერმანელი კლარნეტისტი, ჯამერული მუსიკის შემსრულებელი და მკვლევარი, ჰელსინკის სიბელიუსის აკადემიის დოქტორანტი. მისი სამეცნიერო კვლევის თემაა ყოფილი საბჭოთა კავშირის დროს შექმნილი საკლარნეტო რეპერტუარი; განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მივიწყებული ებრაელი კომპოზიტორების ნაწარმოებებს. მკვლევრის ბოლო პერიოდის სამეცნიერო და კვლევითი აქტივობები წარმოდგენილია პრეზენტაციებისა და კონცერტების სახით კონფერენციებზე ბელგრადში, ლონდონში, ვილნიუსში, ტალინში, ჰელსინკიში, პეტერბურგში, ოსტენდსა და დუბლინში.

რუსეთსა და ყოფილ საბჭოთა კავშირში ებრაულ თემებზე შექმნილი კლასიკური ნაწარმოებები კლარნეტისთვის: არასათანადოდ აღიარებული რეპერტუარის აღდგენა ორმაგი უგულებელყოფიდან

აღმოსავლეთ ევროპულ ებრაულ ფოლკლორულ მუსიკაში, კლემერში, კლარნეტი ტრადიციულად ერთ-ერთი წამყვანი ინსტრუმენტია. კლასიკური მუსიკის განსაკუთრებით საინტერესო ასპექტს წარმოადგენს ებრაული ტრადიციული მუსიკის გავლენით შექმნილი საკლარნეტო რეპერტუარი. XX საუკუნის დასაწყისში, პეტერბურგში ებრაული ფესვების მქონე კომპოზიტორების ჯგუფმა შექმნა გამორჩეული ნაწარმოებები, სადაც სინთეზირებული იყო ტრადიციული ებრაული მუსიკალური ელემენტები გვიანრომანტიკულ საკომპოზიციო ტექნიკასთან. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს კომპოზიტორების — ალექსანდრ კრეინის, გრიგორი კრეინის, ალექსანდრ ვეპრიკის და მოგვიანებით, სამუელ სენდერეის და პოლონეთში დაბადებული მიეჩისლავ ვაინბერგის მიერ შექმნილი მატალი მხატვრული ღირებულების მქონე ჯამერული ნაწარმოებები კლარნეტისთვის. პეტერბურგის ჯგუფის კომპოზიტორთა იღვამ გავრცელება პოვა ემიგრაციაში მყოფ ისეთ კომპოზიტორებს შორის, როგორებიც არიან მიტა სტილმანი და ჯოზეფ დორფანი. გასაოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ებრაულ თემაზე დაწერილი ყველაზე ცნობილი ნაწარმოები კლარნეტისთვის, არაებრაულ კომპოზიტორს — სერგეი პროკოფიევს ეკუთვნის. ამავდროულად, უმრავლესობა კომპოზიტორებისა, რომლებიც წერდნენ ნაწარმოებებს კლარნეტისთვის, დღემდე არ არიან ცნობილი.

ნაშრომში კლარნეტის რეპერტუარის ჯერ კიდევ შეუფასებელი ნაწილი გაანალიზებულია შემსრულებლის პოზიციიდან. ძირითადი ყურადღება ეთმობა ფართო მხატვრული შესაძლებლობების წარმოჩენას, რაც დამახასიათებელია იმ კომპოზიტორების ნაწარმოებებისთვის, რომლებიც ორმაგი უარყოფის ფენომენის წინაშე დგანან: ერთი მხრივ, სტალინის დიქტატორის დროს რეპრესირებული და დაპატიმრებულები, ხოლო მეორე მხრივ, დღევანდელ დღეს მივიწყებულნი. კლარნეტის ამ ღირებული რეპერტუარის აღდგენა, როგორც სამეცნიერო კვლევის, ასევე, საკონცერტო შესრულების კუთხით, სანიმუშოა და დაუსაბუთებელი მუსიკალური უგულებელყოფის დაუყოვნებლივი შეწყვეტის მოწოდებაა.

Musicologist, PhD, Associate Professor at the Lithuanian Academy of Music and Theatre; Assistant Editor-in-chief of the scientific yearly Lithuanian Musicology; Senior Editor at the Lithuanian National Philharmonic; Author of the monograph *Musica mathematica* (Peter Lang, 2016) and Co-editor of „Essence and Context. Between Music and Philosophy collection (with Nick Zangwill and Rūta Stanevičiūtė; Springer, forthcoming in 2019)”. She was on internships at the Institute of Musicology at Leipzig University (2004) and IRCAM (2012). She has edited over 15 collections and published about 30 scientific articles. Her monograph *Musica Mathematica* (in Lithuanian, 2013) was awarded Prof. Vytautas Landsbergis Foundation prize for the best musicological work.

Lithuanian Microtonal Music Experiments in the Context of Interwar and Post-Soviet Cultural Changes

A concept *a twelve systems*, proposed by Julia Werntz, used to be applied explaining the transformations and changes in twelve-tone music starting from the beginning of the 20th century. In this context, the microdimensional aspect of 20th century music in Lithuania was presented by composers as a possibility to regenerate and individualize musical language. Lithuanian composers created individual imprint in the context of microtonal music starting with Jeronimas Kačinskas, a pupil of Hába at the Prague Conservatory. The creative activity of todays Lithuanian and émigré composers (Osvaldas Balakauskas, Darius Lapinskas, Šarūnas Nakas, Rytis Mažulis, Marius Baranauskas, Vytautas Germanavičius and others) was influenced directly or not by Kačinskas' interwar microtonal music that entered the international network of modern music and was widely spread.

In the search of individuality Lithuanian composers set up various instrumentality to create microinterval results in their music, such as: expansion and enrichment of dur-moll system with microintervals, the timbral approach to the sound as micro cluster (e.g. attempts by Kačinskas), melodic microintervals as superficial appearance as *glissando* (Onutė Narbutaitė), microtonal acoustic structures in connection with Lithuanian archaic scales (Germanavičius), microintervals as independent elements of the system or joined with other techniques such as serialism, minimalism (Mažulis' case), etc.

**რიმა პოვილიონიენე
Rima Povilioniene**

ლიეტუვა
Lithuania



PARTICIPANTS
მონაწილეები

მუსიკოლოგი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი ლიეტუვას მუსიკისა და თეატრის აკადემიაში; ყოველწლიური გამოცემის *Lithuanian Musicology* მთავარი რედაქტორის თანაშემწე; ლიეტუვის ეროვნული ფილარმონიის უფროსი რედაქტორი. არის ავტორი მონოგრაფიის *Musica mathematica* (გამომცემლობა Peter Lang, 2016) და თანარედაქტორი (ნიკ ზენგვილთან და რუტა სტანევიჩიუტესთან ერთად) კრებულის *Of Essence and Context. Between Music and Philosophy* (გამომცემლობა Springer, გამოიცემა 2019). სტაჟირება გაიარა ლაიფციგის უნივერსიტეტის მუსიკოლოგიის ინსტიტუტში (2004) და IRCAM-ში (პარიზი, 2012). 15-ზე მეტი კრებულის რედაქტორი და დაახლოებით 30 სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორია. მისი მონოგრაფია *Musica Mathematica* (ლიეტუვერ ენაზე, 2013), როგორც საუკეთესო მუსიკოლოგიური შრომა, დაჯილდოვდა პროფესორ ვიტაუტას ლანდსბერგიის ფონდის პრიზით.

ლიეტუვერი მიკროტონური მუსიკალური ექსპერიმენტები ომთაშორისი და პოსტსაბჭოთა კულტურული ცვლილებების კონტექსტში

იულია ვერტცის მიერ შემოთავაზებული *თორმეტი სისტემის* კონცეფცია გამოიყენებოდა XX ს-ის დასაწყისიდან არსებული თორმეტტონური მუსიკის გრანსფორმაციებისა და ცვლილებების ასახსნელად. ამ კონტექსტში მიკროსივრცული ასპექტი XX საუკუნის ლიეტუვერ მუსიკაში კომპოზიტორების მიერ აღქმული იყო, როგორც მუსიკალური ენის აღდგენისა და ინდივიდუალიზების შესაძლებლობა. იერონიმას ჯაჩინსკასთან (ჰაბას მოსწავლე პრატის კონსერვატორიაში) მოყოლებული, ლიეტუველმა კომპოზიტორებმა მიკროტონური მუსიკის ინდივიდუალური ხელწერა შექმნეს. თანამედროვე ლიეტუველ და ემიგრანტ კომპოზიტორებზე (ოსვალდას ბალაკაუსკის, დარიუს ლაპინსკასი, მარუნას ნაკასი, რიტის მაჟულისი, მარიუს ბარანაუსკასი, ვიტაუტას გერმანავიჩიუსი და სხვ.) პირდაპირი ან ირიბი გავლენა მოახდინა ჯაჩინსკასის ომებს შორის პერიოდში შექმნილმა მიკროტონურმა მუსიკამ, რომელიც თანამედროვე მუსიკის საერთაშორისო ქსელშია შესული და ფართოდაა გავრცელებული.

ინდივიდუალობის ძიებისას ლიეტუველი კომპოზიტორები თავიანთ მუსიკაში მიკროინტერვალურ შედეგებს სხვადასვა გზებით აღწევენ, მათ შორისაა: მაკორულ-მინორული სისტემის გაფართოება და გამდიდრება მიკროინტერვალებით, ბგერისადმი, როგორც მიკროკლასტერისადმი დამოკიდებულება (მაგალითად, ჯაჩინსკასთან), მელოდოიური მიკროინტერვალები, როგორც *გლისანდოს* ზედაპირული გამოხატულება (ონუტე ნარბუტაიტე), მიკროტონური აკუსტიკური სტრუქტურები ლიეტუვერ არქაულ ბგერათრივებთან ჯავშირში (გერმანავიჩიუსი), მიკროინტერვალები, როგორც სისტემის დამოუკიდებელი ელემენტები, ან სხვა ტექნიკებთან – სერიულობასთან, მინიმალიზმთან ჯავშირში (მაზალუსი) და სხვ.



ნინო ჯვანია
Nino Jvania
საქართველო
Georgia

პიანისტი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორიის სამემსრულებლო ფაკულტეტის დეკანი და სპეციალური ფორტეპიანოს მიმართულების ასოცირებული პროფესორი. თბილისის კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ, გაემგზავრა გერმანიაში, დიუსელდორფის რ. შუმანის სახელობის კონსერვატორიაში სასწავლებლად. თანამედროვე მუსიკით განსაკუთრებულ დაინტერესებას მოჰყვა გამარჯვება ორლანის (საფრანგეთი) XX საუკუნის საფორტეპიანო მუსიკის საერთაშორისო კონკურსზე და მრავალჯერადი მონაწილეობა ე. შტოკჰაუზენის კურსებში (გერმანია). მოპოვებული აქვს DAAD-ის, ალფრედ თოპფერის, ჰაინრიხ ბიოლისა და Ensemble Modern-ის საერთაშორისო აკადემიის სტიპენდიები. თანამედროვე მუსიკისადმი ინტერესმა განაპირობა მისი სამეცნიერო მოღვაწეობაც. არის რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მათ შორისაა, მონოგრაფია თანამედროვე საფორტეპიანო შემსრულებლობის შესახებ. მას ხშირად იწვევენ თანამედროვე მუსიკისადმი მიძღვნილ საერთაშორისო ფესტივალებსა და კურსებზე როგორც კონცერტების, ისე მასტერკლასების ჩასატარებლად. არის თანამედროვე მუსიკის ანსამბლის Georgia Modern თანადამფუძნებელი. 2010 და 2013 წლებში იყო ბოსტონის ნიუ-ინგლენდის კონსერვატორიისა და ნიუ-იორკის უნივერსიტეტის მინვეუტი პროფესორი და მეცნიერთანამშრომელი. ასევე, ჩატარებული აქვს ლექციები ჰარვარდისა და ტაფტსის უნივერსიტეტებში.

შემსრულებლისა და მსმენელის ინტერაქციის ახალი სახე ეკა ჭაბაშვილის სიმფონია-გამოფენაში „ხმა“

2018 წლის 30 ნოემბრიდან 8 დეკემბრის ჩათვლით თბილისელებსა და ქალაქის სტუმრებს საშუალება მიეცათ, ჩართულიყვნენ საქართველოს კომპოზიტორთა ჯავშირში ჩატარებულ სინერგულ მულტიმედიაურ ექსპერიმენტულ პროექტში სიმფონია-გამოფენა „ხმა“, როგორც ცნობილია, სიტყვა *სიმფონია* ბერძნული წარმოშობისაა და თანაქტრადობას ნიშნავს. პროექტის ავტორის, ეკა ჭაბაშვილის სიტყვებით, „ჩვენი გამოფენის მთავარი მიზანია ესა – ერთი მოვლენის წინაშე შეირწყას ხელოვნების დარგები და გაერთიანდნენ ადამიანთა ხმები, რათა მათი ერთიანი ძლიერხმევით (თანაქტრადობით) შეიქმნას ნაწარმოები“. პროექტი გახლდათ ჯარგად მონესრიგებული ინტერაქტიული პროცესი, სადაც ვიზიტორს შეეძლო, ოცდაათწუთიანი სეანსის განმავლობაში დარბაზში მუდმივად ჟღერადი აუდიოინსტალაციის ფონზე დაეთვალიერებინა 6 ვიზუალური ინსტალაციისგან შემდგარი გამოფენა და თან მონაწილეობა მიეღო კომპოზიციის დრამატურული განვითარების პროცესში: ერთი მხრივ, მას საშუალება ჰქონდა, ხმამაღლა ნაეითხა წინასწარ დარეგებული მულოცვები, რაც ქმნიდა ხმოვან ჩანართს მთელან კომპოზიციაში, მეორე მხრივ კი – გარკვეულ ეტაპზე დაეწყო მუსიკირება ჭაბაშვილის მიერ სპეციალურად ამ გამოფენისათვის შექმნილ ახალ საყრავზე „ხმა“. მთელ პროცესს არეგულირებდა გიდი-პერფორმერი, რომელიც სეანსის პირველ ნაწილში თავად უკრავდა საყრავზე ავტორის მიერ შექმნილ კომპოზიციას, შემდეგ კი იწვევდა სტუმრებს აქტიურად ჩართულიყვნენ პერფორმანსის პროცესში.

გიდი-პერფორმერის როლს ასრულებდა მოხსენების ავტორი, რომელიც აკვირდებოდა მსმენელ-დამთვალიერებლების ქცევას სეანსის მსვლელობისას. შედეგად, გამოვლინდა შემსრულებლისა და მსმენელის ინტერაქციის ახალი სახე. მოხსენების მთავარ მიზანს წარმოადგენს ამ სახის აღწერა, ტრადიციული ინტერაქციის მოკლე ისტორიული მიმოხილვის ფონზე. მოხსენების დასასრულს ნაჩვენები იქნება ვიდეო-ფრაგმენტი ეკა ჭაბაშვილის სიმფონია-გამოფენიდან.


Pianist, PhD in Art Studies, Dean of Performing Faculty and Associate Professor of Special Piano Department at V.Sarajishvili Tbilisi State Conservatoire. After graduating from Tbilisi Conservatoire, she studied at R.Schumann-Hochschule Düsseldorf (Germany). Her particular interest in contemporary music led her to multiple participation in Stockhausen-courses and prizewinning performance at the Orlean International Piano Competition of 20th Century Music (France). She was a grant holder of the DAAD, Alfred Toepfer Stiftung, the Heinrich Boell Foundation, and the Ensemble Modern International Academy. Her interest in contemporary music also determined her research activity: she is the author of several scholarly works and a monograph on contemporary piano performance. Nino has been invited as a guest artist and faculty member to various festivals and courses of contemporary music worldwide. She is also the co-founder of New Music Ensemble Georgia Modern. In 2010 and 2013 Nino was a visiting professor and scholar at New England Conservatory and New York University, also holding guest lectures at Harvard and Tufts Universities.

A New Type of Performer-Listener Interaction in Eka Chabashvili's Symphony-Exhibition "Khma"

In the week of November 30 – December 8, 2018, citizens and guests of Tbilisi had the opportunity to participate in a syncretic experimental multimedia project – symphony-exhibition "Khma" (voice), hosted by the Composers' Union of Georgia. *Symphony* – a word of Greek origin – means *concord of sound*. According to the project author Eka Chabashvili, "main goal of the exhibition is to unite different fields of art, as well as human voices, so that they create a piece of art *in concord*". Thus, the project was an organized interactive process, where the listeners and spectators of 30 minute-long sessions could observe 6 visual installations, listening to permanently sounding background audio installation and, at the same time, participate in the dramaturgical development of the composition: on the one hand, they were invited to recite "magic verses" handed over in advance, creating a new sounding layer in the composition, on the other hand, they could improvise on a sculpture-instrument "Khma" built by Chabashvili exclusively for this project. Entire process was supervised by a guide-performer, who, in the first part of the session, performed a piece composed by Eka Chabashvili for KHMA, and later invited the visitors to participate in the performance. The role of the guide-performer was played by the presenter of this paper, who had the opportunity to observe the visitors during the sessions. As a result a new type of performer-listener interaction was revealed. The paper aims to describe this new type, against the background of the historical development of traditional interaction. The presentation will be followed by a short fragment of the video of Eka Chabashvili's symphony-exhibition.

Maia Sigua defended her PhD Degree under Professor Ketevan Bolashvili's supervision at Tbilisi State Conservatoire, 2014. The following year she received the position of Assistant Professor at the Conservatoire. Her scientific publications have been published in the USA, GB, and Georgia. She occasionally writes for different magazines, participates in TV and radio programs; she has delivered several public lectures in Georgia and abroad; is a participant and organizer of international conferences and festivals. Alongside academic activities, Maia Sigua currently works on the Web Site and publications of Tbilisi Opera. In 2018 she won the scholarship of Joint "Rustaveli-DAAD" Fellowship Program and made her post-doctoral research about modern recasting of ancient tragedies and mythology in Henze's operas at Goethe University Frankfurt, Germany.

მაია სიგუა
Maia Sigua
საქართველო
Georgia



**Politics and Irony in THE BASSARIDS
by Hans Werner Henze**

The paper discusses THE BASSARIDS by Henze as modern recasting of the ancient tragedy with individual and general contemporary accents. Here, the New Left ideas and the stimuli that drove student movements in the 1960s follow the storyline of Euripides' tragedy THE BACCHAE. At the same time, in the opera's verbal and theatrical (acting) parts it is easy to observe some ironic attitude to the plot and characters, on which the authors of the libretto are responsible, and which the composer does not share in any way. The verbal text also includes elements of Freudian psychoanalysis, fascism, Christianity (John Bokina). The paper proposes the idea that THE BASSARIDS includes composer's autobiographical facts. All this variety of ideas, messages, reminiscences and associations are balanced by the musical part of the work, where Henze remains devoted to his artistic principles.

The paper is prepared on the basis of multilateral analysis, namely: comparative analysis of the literary original and Auden/Kallman's libretto; study of political and philosophical occurrences which were important in the 1960s (creation time of the opera); THE BASSARIDS and its creating process told by Henze himself and other researchers, study and analysis of the facts from Henze's biography and detailed analysis of the score.

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის ხარისხი მიიღო 2014 წელს, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში, პროფესორ ქეთევან ბოლაშვილის ხელმძღვანელობით; მომდევნო წლიდან ამავე კონსერვატორიის ასისტენტ-პროფესორი გახდა. მისი სამეცნიერო სტატიები დაბეჭდილია დიდ ბრიტანეთში, აშშ-ში, საქართველოში. პერიოდულად წერს სხვადასხვა ჟურნალისთვის, მონაწილეობს ტელე და რადიოგადაცემებში. მან რამდენიმე საჯარო ლექცია წაიყვანა საქართველოსა და საზღვარგარეთ. არის არაერთი საერთაშორისო ფესტივალის და კონფერენციის არა მხოლოდ მონაწილე, არამედ ორგანიზატორიც. აკადემიური საქმიანობის გარდა, მუშაობს თბილისის სახელმწიფო ოპერის თეატრის ვებსაიტსა და გამოცემებზე. 2018 წელს მოიპოვა DAAD-რუსთაველის ერთობლივი სასტიპენდიო პროგრამის სტიპენდია, რომლის ფარგლებშიც ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტში განახორციელა პოსტდოქტორული კვლევა ჰანს ვერნერ ჰენცის ოპერებში ანტიკურნი ტრადიციის თანამედროვე ინტერპრეტაციებზე.

პოლიტიკა და ირონია ჰანს ვერნერ ჰენცის „ბასარიდებში“

მოხსენებაში განხილულია ჰ. ვ. ჰენცის „ბასარიდები“, როგორც ანტიკური ტრადიციის თანამედროვე ინტერპრეტაცია, შექმნის დროისთვის აქტუალური ზოგადი და ინდივიდუალური აქცენტებით. ახალი შემარცხენე სოციალიზმის იდეები და სტუდენტური გამოსვლების მამოძრავებელი სტიმულები „ბასარიდებში“ ევრიპიდეს ტრადიციის „ბახოსის მხეველებს“ სიუჟეტურ ხაზს მიჰყვება. ამავე დროს, მის ტექსტურ და სადადგმო ნაწილში იკვეთება იდეის, ფაბულისა და პერსონაჟებისადმი ირონიული დამოკიდებულება, რომელზეც პასუხისმგებლები ლიბრეტოს ავტორები არიან, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ იზიარებს კომპოზიტორი. ოპერის ტექსტი ასევე შეიცავს ფროიდისეული ფსიქოანალიზის, ფაშიზმის, ქრისტიანობის ელემენტებს (ჯონ ბოკინა). მოხსენებაში წამოყენებულია მოსაზრება, რომ ნაწარმოებში, მთელი რიგი ფაქტების ანალიზის შედეგად, ავტობიოგრაფიულობაც იკვეთება. ყველაფერი ეს მუსიკით არის დაბალანსებული, რომელშიც ჰენცე თავისი შემოქმედებითი პრინციპების ერთგული რჩება.

მოხსენება წარმოდგენილია ლიტერატურული პირველწყაროსა და ოპერის ლიბრეტოს შედარებითი ანალიზის, შექმნის პერიოდში და კომპოზიტორისთვის აქტუალური პოლიტიკური და ფილოსოფიური მოვლენების შესწავლის, ნაწარმოების ავტორისეული და სხვადასხვა ავტორის ინტერპრეტაციების გაცნობის, ჰენცის ბიოგრაფიის ფაქტების კვლევისა და ანალიზის, მთლიანი პარტიკურის დაწვრილებითი ანალიზის შედეგად.



ეველინა სუმელიუს -
ლინდბლომი
Eveliina Sumelius-Lindblom

ფინეთი
Finland

Pianist, Master of Music Eveliina Sumelius-Lindblom has made a career as a modern and inquisitive performing musician. At the moment she is a salaried doctoral student at the Sibelius-Academy of the University of the Arts Helsinki (DocMus-doctoral school's Arts study program.) In recent years Sumelius-Lindblom has focused on the early 20th Century neoclassical repertoire and her ongoing series of doctoral concerts represents a remarkable cross-section of French and French influenced repertoire after the 1st World War.

Intertextuality as an Embodied Experience

The approach to my doctoral research topic "French Modernism in the 1920's" is to observe and analyze the methods I use as a pianist in dealing with multilayered artistic questions related to French neoclassical repertoire, in particular, questions of intertextuality. Divergent performer-based approaches are needed because musical aesthetics of this repertoire crucially deviates from German and earlier French traditions, and in traditional musicological contexts, their intellectually challenging aesthetic purposes are sometimes misunderstood. My research aims are condensed into a single question; "What the main characteristics of pianist's way of perceiving music are in the context of French neoclassical piano music and intertextuality". This question formulates a thought experiment in which the aim is to observe inherently analytical properties of piano playing, which I have named "the pianist's perception" based on Maurice Merleau-Ponty's theories in *Phénoménologie de la perception* (1945).

I start my paper by explaining some of the essentialities concerning the theoretical backgrounds of intertextuality and represent my own contribution to the topic by analyzing and classifying intertextual affiliations in the French 1920's neoclassical solo piano repertoire. After that I analyze the characteristics of pianist's perception and the similarities between piano playing and conducting research by using Maurice Merleau-Ponty's phenomenological theory as a framework. Although tracing the intellectual structures behind the pianist's craft involves profound self-reflection, these very processes tend to cross the boundaries of personal experience and emerge as mutual and intersubjective, rather than singular in nature.

ჰიანისტი, მუსიკის მაგისტრი, თანამედროვე მუსიკის შემსრულებელი. ამჟამად იგი ჰელსინკის ხელოვნების უნივერსიტეტის სიბელიუსის აკადემიის დოქტორანტია. ბოლო წლების განმავლობაში მუშაობს XX საუკუნის ადრეული პერიოდის ნეოკლასიკურ რეპერტუარზე და სადოქტორო კონცერტებზე ასრულებს პირველი მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილ ფრანგულ და ფრანგული გავლენის მქონე ნაწარმოებებს.

ინტერტექსტუალობა, როგორც განსხეულებული გამოცდილება

ჩემი სადოქტორო კვლევის – "ფრანგული მოდერნიზმი 1920-იანებში" მიზანია დავაკვირდე და გავაანალიზო მეთოდები, რომლებსაც ვიყენებ, როგორც ჰიანისტი იმ მრავალდონიანი შემოქმედებითი საკითხების გადასაწყვეტად, რაც დაჯავშირებულია ფრანგულ ნეოკლასიკურ რეპერტუართან, კერძოდ, ინტერტექსტუალობის საკითხებთან. საჭიროა შემსრულებლობაზე დამყარებული განსხვავებული მიდგომები, ვინაიდან ამ რეპერტუარის მუსიკალური ესთეტიკა უკიდურესად განსხვავდება გერმანული და უფრო ადრეული ფრანგული ტრადიციებისგან, და, ტრადიციულ მუსიკოლოგიურ კონტექსტში, მათი ინტელექტუალურად რთული ესთეტიკური მიზნები ზოგჯერ არასწორად გაიგება. კვლევის მიზნები ერთ კითხვამდეა დაყვანილი: „რამია ჰიანისტის მიერ მუსიკის აღქმის ძირითადი თავისებურებები ფრანგული ნეოკლასიკური საფორტეპიანო მუსიკისა და ინტერტექსტუალობის კონტექსტში“. ეს კითხვა აყალიბებს აზრობრივ ექსპერიმენტს, სადაც ძირითადი მიზანი იმაშია, რომ შიგნიდან დააკვირდე საფორტეპიანო შესრულების თავისებურებებს. აღნიშნულს, მორის მერლო-პონტის თეორიებზე *Phénoménologie de la perception* (1945) დაყრდნობით, ვწოდებ „ჰიანისტის აღქმას“.

მოხსენების დასაწყისში განმარტებული იქნება ინტერტექსტუალობის თეორიული საფუძვლები და წარმოდგენილი იქნება ჩემი დაკვირვებები 1920-იანი წლების ფრანგული ნეოკლასიკური სოლო საფორტეპიანო რეპერტუარის ინტერტექსტუალურ კონტექსტში ანალიზისა და კლასიფიცირების თვალსაზრისით. შემდეგ, მორის მერლო-პონტის ფენომენოლოგიური თეორიის საფუძველზე, გაანალიზებულია ჰიანისტის აღქმის თავისებურებები და მსგავსება ფორტეპიანოზე დაკრასა და ძირითად საკვლევ პრობლემას მორის. მიუხედავად იმისა, რომ ჰიანისტის ხელოვნების უკან მდგომი ინტელექტუალური სტრუქტურების კვლევა გულისხმობს ღრმა თვითკვლევას, ეს პროცესები გადაკვეთს პირადი გამოცდილების სახეურებს და ყალიბდება, როგორც საერთო და ინტერსუბიექტური, და არა ერთეული თავისი ბუნებით.



ქრისტოფ ფლამი
Christoph Flamm

გერმანია
Germany

მუსიკოლოგი ქრისტოფ ფლამი ლიუბეკის (გერმანია) მუსიკის უნივერსიტეტის პროფესორი და ვიცე-პრეზიდენტია საერთაშორისო ურთიერთობებისა და კულტურების ხაზით. ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის წოდება მან მიიღო ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში ნიკოლაი მეტნერის ხელმძღვანელობით. 1994-2001 წწ. იყო ენციკლოპედიის „Die Musik in Geschichte und Gegenwart“ საგამომცემლო ჯგუფის წევრი; 2001-2004 წწ. – Istituto Storico Germanico-ს (რომი) მუსიკის ისტორიის დეპარტამენტის მენეჯერ-ასისტენტი. 2005 წ. მიიღო Deutsche Forschungsgemeinschaft-ს ორწლიანი გრანტი. 2007 წ. ზაარლანდის უნივერსიტეტში მიიღო ჰაბილიტაცია. იყო მოწვეული პროფესორი ბერლინის ხელოვნების უნივერსიტეტში (2011/12) და პროფესორი ჯლაგენფურტის უნივერსიტეტში, ავსტრია (2013/14).

რეგიონალური, ეროვნული, გლობალური? კავკასიური მუსიკა დასავლურ პერსპექტივაში

გვიან საბჭოთა და ადრეულ პოსტსაბჭოთა პერიოდში კავკასიურ მუსიკა დიდი წარმატებით სარგებლობდა დასავლეთის აუდიტორიის წინაშე. კავკასიის რესპუბლიკებში ეს მუსიკა ხელს უწყობდა ახალი კულტურული თვითდარწმუნების ზრდას; დანარჩენ მსოფლიოში კი ყანჩელის, ტერტერიანის, ალიზადესა და სხვათა ნაწარმოებები აღიარებულ იქნა მათში არსებული არატრადიციული ელემენტებისა და „აღმოსავლური“ ესთეტიკის გამო (მაგალითად, აბსტრაქტულ დონეზე არსებული დროის შესახებ განსხვავებული წარმოდგენა, ან უფრო უშუალოდ აღქმული ფორტალიტონული საკრავების მომხიბლავი ტემბრი). ამგვარად, როგორც შინაგანად, ისე გარეგნულად, მათი მუსიკა ატარებდა განახლებული კულტურული ნაციონალიზმის თვისებებს, რომელიც ნაწილობრივ აღიქმებოდა, როგორც სოვიეტის ათწლეულების წინააღმდეგ კულტურული რეაქცია. არის თუ არა ეს რეაქცია ჩვენს გლობალიზებულ აზმყოფი, და თუ ასეა: როგორ აღიქმება თანამედროვე კავკასიური მუსიკა, როგორც უკან, თუ როგორც წინ მიმართული?

Dr. Christoph Flamm is Professor of musicology and vice-president for international affairs and research at the University of Music Luebeck, Germany. He received his Ph.D. at Heidelberg University with a study on Nikolai Medtner. 1994-2001 he worked in the editorial staff of the encyclopedia “Die Musik in Geschichte und Gegenwart”. 2001-2004 he was scientific assistant at the Department of Music History of the Istituto Storico Germanico in Rome. In 2005 he was awarded a two-year grant from the Deutsche Forschungsgemeinschaft. In 2007 he received his Habilitation at the University of the Saarland. He was Visiting Professor at Berlin University of the Arts (2011/12) and Professor of Applied Musicology at the University of Klagenfurt, Austria (2013/14).

Regional, National, Global? Caucasian Music in Western Perspective

In late Soviet and early post-Soviet times, Caucasian music enjoyed huge success with Western audiences. Within the Caucasian republics, this music contributed to the growing of new cultural self-confidence; in the rest of the world, the works of Kancheli, Terteryan, Alizade and others were hailed for their unconventional elements and “Eastern” aesthetics (e.g. different concept of time on an abstract scale, or the fascinating timbre of folk musical instruments in a more immediate sense). Thus, both from within and from outside, their music bore traits of a renewed cultural nationalism, partly to be understood as a cultural reaction against decades of Sovietization. Is this reaction going on in our globalist present as well, and if so: is contemporary Caucasian music perceived as orientated backward or forward?

Musicologist, PhD in Art Studies, Professor at V. Sarajshvili Tbilisi State Conservatoire, Head of Music History Direction and Program “Music and Modernity”, concentration “Musical journalism”. Leads several special and author’s courses at the Conservatoire. Her scientific interests are connected with the issues of intercultural relations, multiculturalism, national identity, musical semiotics, musical theatre, etc. She is the author of over 100 scientific works; a number of projects have been realized on her initiative and under her direction. She is the editor-in-chief of the trilingual refereed online journal “Musicology and Cultural Science”; the founder and editor of the series of scientific works “Musicological searches” of the Georgian Composers’ Union; chairperson of the Dissertation Board and an Academic Council member of Tbilisi State Conservatoire. Was awarded the prize “For the Best Work in Musicology” (2012).

Five lives of “Khanuma” or from “Khanuma” to “Barbale”

The contemporaries of dramatist Avksenti Tsagareli (1857-1902) probably never imagined how popular his play “Khanuma” (1882) would be in the 20th century and most importantly, how many times it would be changed on the stage and screen – the names of the personages, development of the story and music. The interpretation of the play like a mirror reflected the culture and history of the 20th century Georgia, the Tbilisi mode of life, Georgian culture in general and not only Georgian. Basing on the comparative method the paper discusses musical interpretations of Avksenti Tsagareli’s “Khanuma” in the context of their creation time, its “five lives”: First Georgian comic opera – Victor Dolidze’s “Keto and Kote” (1919), which will be 100 years old this year, the movie “Keto and Kote” with Victor Dolidze’s and Archil Kereselidze’s music, theatre performance “Khanuma” by Robert Sturua and Giya Kancheli (1968), opera-fantasy “Barbale” by Vakhtang and Jansugh Kakhidze (1986) and the musical “Keto and Kote” by Nika Rachveli (2011).

**მარინა კავთარაძე
Marina Kavtaradze**

საქართველო
Georgia



PARTICIPANTS
მ მ გ ა რ ი ტ ე რ ე ბ ა

მუსიკოლოგი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ვ. სარაჯიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი, მუსიკის ისტორიის მიმართულებისა და პროგრამა „მუსიკა და დღევანდელობის“ კონცენტრაცია „მუსიკალური ჟურნალისტიკის“ ხელმძღვანელი. კონსერვატორიაში კითხულობს რამდენიმე სპეცურსსა და საავტორო კურსებს. მისი სამეცნიერო ინტერესები დაკავშირებულია კულტურათაშორისი ურთიერთობის, მულტიკულტურალიზმისა და ეროვნული იდენტობის, ტოკალიტარიზმის, მუსიკის სემიოტიკის, მუსიკალური თეატრისა და სხვა პრობლემათიკასთან. არის 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით არაერთი სამეცნიერო პროექტია განხორციელებული. არის რეცენზირებადი სამეცნიერო სამეცნიერო ელექტრონული ჟურნალის „მუსიკოლოგია და კულტუროლოგია“ მთავარი რედაქტორი; დამფუძნებელი და რედაქტორი საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის სამეცნიერო შრომების კრებულების სერიის „მუსიკოლოგიური ძიებანი“; თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე და აკადემიური საბჭოს წევრი. დაჯილდოებულია პრემიით „საუკეთესო სამუსიკისმცოდნეო ნაშრომისათვის“ (2012).

„ხანუმას“ ხუთი სიცოცხლე ანუ „ხანუმადან“ „ბარბალემდე“

